ლელო

№ 10
(11056)

8 — 11 თებერვალი, 1997 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში წაიკითხავთ:

დღეს, 1997 წლის 8 თებერვალს, 14 საათზე, სფფ-ს აღმასკომის სხდომაზე, საქართველოს ფეხბურთის ისტორია ღირსსახსოვარ მოვლენას დააფიქსირებს — პირველად ეროვნულ ნაკრებს სათავეში ჩაუდგება ტრიუმვირატი.

ფეხბურთელთა ტრანსფერი გრძელდება და... მთავრდება.

ისუნთქეთ სწორად და იქნებით ჯანმრთელი.

„ჩიკაგო" როდმანთან ერთად უფრო ძლიერია, მაგრამ უიმისოდაც აგრძელებს წინსვლას.

„ტაბუკიანს" სოფელი პატრონობს.

სპორტის სხვადასხვა სახეობათა ამბები.

ზაზა და კახი კვლავ დილემის წინაშე არიან

დსთ-ს ტურნირის შემდეგ თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში დიდი ცვლილებები მოსალოდნელი აღარ იყო, რადგან წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობა თითქმის უკვე ცნობილი გახლდათ, თუმცა, როგორც „დინამოს" კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ გვაცნობა, კლუბს თურქეთში ერთი ახალი ფეხბურთელი დაემატება — დიმიტრიშვილი, რომლის გასინჯვასაც ყიფიანი სწორედ პრეზიდენტ ნიაზოვის თასის გათამაშების მატჩებში აპირებს.

რომან შოთაძე

● ***ბატონო რომან, რევიშვილის საკითხი კვლავ არ არის გადაწყვეტილი?***

— როგორც იცით, ჩვენ შევთავაზეთ მას „დინამოში" გადმოსვლა და ჯერი ახლა თავად რევიშვილზეა, რომელიც ჯერჯერობით ორჭოფობს.

● ***„ალანია" მართლა 400 ათას დოლარს ითხოვს მასში?***

— თუ ტრანსფერი შედგა, „დინამოს" ამ თანხაზე გაცილებით უფრო ნაკლები დაუჯდება ზაზას გადმოყვანა, რადგან ჩვენი და „ალანიას" ხელმძღვანელთა კარგი დამოკიდებულება ყველასათვის ცნობილია.

● ***კახი გოგიჩაიშვილიც თბილისში ჩამოვიდა...***

— მას კვიპროსის „ელი" ეპატიჟება, მაგრამ კახისაც არა აქვს გადაწყვეტილი საბოლოოდ თუ სად დარჩება. თუ ის უარს იტყვის კვიპროსში წასვლაზე, ჩვენ კვლავ დავეხმარებით მას სხვა კლუბის მოძებნაში.

რაც შეეხება სხვა ფეხბურთელებს, რომლებსაც „დინამოდან" წასვლა სურთ, ჯერჯერობით გადაჭრით და კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით.

● ***რუსმა ჟურნალისტებმა გვაცნობეს, რომ კოლოსკოვისა და ახალკაცის კონფიდენციალური საუბრის თემა დსთ-ს ერთგვარი საფეხბურთო ლიგის ჩამოყალიბების საკითხებს შეეხებოდა. თქვენ ხომ არა გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამის შესახებ?***

— არავითარი. ისე, როგორც ვიცით, თვითონ რუსეთი ასეთი ლიგის ჩამოყალიბების წინააღმდეგია.

დათო თავართქილაძე

აუქციონი გაზაევის გუნდში მძაფრი კონკურენციაა, ზაზა ჯანაშიას კი ნაკრებში თამაში სურს

ქართველი ლეგიონერები

ქართველი გულშემატკივრები დნეპროპეტროვსკის „დნეპრით" მაშინ დაინტერესდნენ, როდესაც ამ ერთი თვის წინათ შეიტყვეს, რომ ამ გუნდში ჩაირიცხნენ ექსრუსთაველები და სანკტ-პეტერბურგელი ძმები გიორგი და ვარლამ კილასონიები. ახლახანს მათ კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე გოჩა გუჯაბიძე შეუერთდა. „დნეპრი" ამჟამად შეკრებას გადის ისრაელში...

ამას წინათ გაუწყეთ, რომ ბათუმის „დინამოს" მცველი მალხაზ მახარაძე ტოლიატის „ლადადან" წამოსულ ნახევარმცველ ვასილ სეფაშვილთან ერთად შემოწმებას გადიოდნენ რუსეთის პირველი ლიგის გუნდ ნიჟნეკამსკის „ნეფტეხიმიკში". როგორც რუსული პრესა იუწყება, ესპანეთში გავლილი შეკრების შემდეგ მწვრთნელებმა გუნდში მხოლოდ სეფაშვილი დატოვეს, მახარაძე კი უკან სამშობლოში გამოემგზავრა. ამჟამად „ნეფტეხიმიკი" შეკრებაზე იტალიაში იმყოფება...

სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" მეკარე იური ოყროშიძემ გადაწყვიტა გუნდი გამოიცვალოს. ჯერჯერობით იგი იქვე, გივი ნოდიას „ლოკომოტივში" ვარჯიშობს...

თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების მცველი დიმიტრი კუდინოვი სოჭის „ჟემჩუჟინაში" ჩაირიცხა...

ის. მე-3 გვ.

„დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული"...

როგორც „ლელოს" ბოლო ნომრებში მკითხველს არაერთხელ ვაუწყეთ, ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობაში ტრიუმვირატის (ძოძუაშვილი, ხურცილავა, ყიფიანი) მოსვლა იყო ნავარაუდევი. სფფ-მ, როგორც ჩანს, დინჯი ანალიზის შემდეგ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. და აი, დადგა ის დღეც, როცა საკითხი სფფ-ს აღმასკომმა უნდა განიხილოს. დიახ, განიხილოს, მაგრამ არა გვგონია, საბოლოოდ რაიმე შეიცვალოს. ეს ვარიანტი ამ სიტუაციაში, მართლაც უფრო საიმედოდ გამოიყურება. ცხადია, სამეულში ფუნქციების განაწილებასაც ალბათ აღმასკომის ამ სხდომაზე გადაწყვეტენ. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

რაღა თქმა უნდა, ქართული ფეხბურთის გულშემატკივრების სურვილია, თუ მართლა ნაკრებს ეს „შესანიშნავი სამეული" ჩაიბარებს, მხოლოდ წარმატება იყოს მათი თანამდევი.

როდმანის მუჯლუგუნმა „ჩიკაგოს" ჯერჯერობით ვერაფერი ავნო

NBA

დენის როდმანის „ვაჟკაცობას" ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს, მაგრამ მისი გუნდში არყოფნის მიუხედავად „ჩიკაგო ბულზი" მაინც არ თმობს პოზიციებს, რომელსაც როგორც ამერიკელი მიმომხილველები ვარაუდობდნენ, ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოცდა სან-ხოსეს „გოლდენ სტეიტთან" უნდა ჰქონოდა. სან-ხოსეში ნომერ პირველ სპორტად ჰოკეი ითვლება და ნბა-ს მატჩებს საკმაოდ მცირე მაყურებელიც ჰყავს, მაგრამ ამ მატჩმა 19 ათასიანი ტრიბუნების თვალწინ ჩაიარა, რადგან ისეთი ეროვნული ფენომენის სტუმრობა, როგორც მაიკლ ჯორდანია ყოველთვის დიდი ზეიმია აშშ-ს ნებისმიერი ქალაქისთვის. დამატებით ინტრიგას ისიც ქმნიდა, რომ მასპინძელთა თავდამსხმელი ლეტრელ სპრიუელი ნბა-ს საუკეთესო სნაიპერთა შორის მეოთხე ადგილზეა და ამერიკელი ჟურნალისტებიც მას ჯორდანის ყველაზე მთავარ კონკურენტად მიიჩნევენ. მაიკლმაც ეს ყველაფერი პერსონალურ გამოწვევად მიიღო და შეტევის გარდა სპრიუელის ნეიტრალიზებაზეც ფიქრობდა, რაშიც მას პიპენიც ეხმარებოდა. საბოლოოდ ყველაფერი ეს ისე დამთავრდა, რომ ჯორდანმა და სპრიუელმა 18-18 ქულა დაგროვეს, ხოლო მატჩი „ჩიკაგოს" გამარჯვებით დამთავრდა 115:92. ყველაზე შედეგიანი მოთამაშე სკოტი პიპენი გახლდათ — 32 ქულა.

ის. მე-2 გვ.

დაჯილდოება!

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შპს — „საქპრესის" დირექტორის მოადგილე **მერი ნადარეიშვილი** დაჯილდოვდა **„ღირსების მედლით"**. „ლელოს" რედაქცია ულოცავს ქალბატონ მერის დამსახურებულ ჯილდოს.

ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციას უზარმაზარი თანხა სჭირდება

იტალიელები რომ თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციას აპირებენ, „ლელომ" ადრე გაუწყათ. ახლა სწორედ ეს საკითხი განიხილეს სახელმწიფო კანცელარიაში ჩატარებულ თათბირზე.

თურმე სტადიონის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით გასამართავად 24 მილიონ 114 ათასი ლარია საჭირო. ასეთი თანხები კი რესპუბლიკის არც ერთ ორგანიზაციას არ გააჩნია, ფიფა და უეფა, აგრეთვე უცხოური ფირმები ინვესტიციის გამოყოფის უმთავრეს წინაპირობად სტადიონის იურიდიული მფლობელის განსაზღვრას ითხოვენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, თათბირზე გადაწყდა შეიქმნას სააქციონერო საზოგადოება, რომელიც გახდება კიდეც სტადიონის მეპატრონე. მასში გაერთიანდებიან საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს", საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, თბილისის მუნიციპალიტეტის, სხვა უწყებების, კერძო ფირმების წარმომადგენლები და, რაღა თქმა უნდა, თვით სტადიონის თანამშრომლები.

ჩვენ და მსოფლიო სპორტული სამყარო

ხელბურთი ● ვაქები.

ვროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი:

ბელგია — შვეიცარია 15:24

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
შვეიცარია	2	2	0	0	53:38	4
საქართველო	2	1	0	1	47:45	2
ფინეთი	2	1	0	1	45:47	2
ბელგია	2	0	0	2	38:53	0

მსოფლიო პირველობა სათხილამურო სპორტში

ზურაბ ჯიჯიშვილი 54-ე...

ზამთრის სპორტის სახეობებში ახალი სეზონის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება — მსოფლიო XXV პირველობა ამ დღეებში მიმდინარეობს იტალიის ალპურ კურორტ სესტრიერში. საქართველოს სამთო მოთხილამურეებიდან სუპერ-გიგანტში ჩვენი ორი თანამემამულის დავით ნასყიდაშვილისა და ზურაბ ჯიჯიშვილის მონაწილეობა იყო დაგეგმილი. ეს უკანასკნელი 66 მონაწილიდან 54-ე ადგილზე აღმოჩნდა. ნასყიდაშვილი კი სტარტზე საერთოდ არ გამოსულა. აქ უძლიერესები ნორვეგიელები იყვნენ: პირველ ადგილზე გავიდა ატლე სკაარდალი, მეორეზე — ლასე ხიუსი, მესამე იყო გიუნთერ მადერი (ავსტრია).

ძალოსნობა

კობზევს და ასანიძეს დისკვალიფიკაცია მოუხსნეს

შარშანწინ „ლელომ" თავის მკითხველებს აუწყა, რომ საქართველოს ორმა ძალოსანმა იგორ კობზევმა და გია ასანიძემ დოპინგის მიღებისათვის ძალოსნობის მსოფლიო საერთაშორისო ფედერაციისაგან სამუდამო დისკვალიფიკაცია დაიმსახურეს. ასანიძემ პოლონეთში გამართულ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ იქვე მისგან დოპინგზე აღებულმა ანალიზებმა დადებითი შედეგი უჩვენა. არ გასულა ცოტა ხანი, და ანალოგიური ამბავი გადახდა კობზევსაც, როდესაც იგი გერმანიაში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა. კი, მაგრამ, იკითხავთ თქვენ, საწვრთნელ შეკრებაზე რაღა საჭირო იყო დოპინგის მიღება? როგორც შემდეგ კობზევმა განმარტა, აკრძალული წამლები მან წონაში დაკლების მიზნით მიიღო.

და აი, გავიდა ხანი. თავის ბოლო კონგრესზე ძალოსნობის მსოფლიო საერთაშორისო ფედერაციამ თავისი გადაწყვეტილება გადასინჯა და ქართველ სპორტსმენებს სამუდამო დისკვალიფიკაცია მოუხსნა.

მძლეოსნობა

პარიზის საგზურის ძიებაში

მსოფლიო მძლეოსნობის სამყაროში ბევრი ცვლილებები ხდება, ცხადია, საქმე უკეთესობისაკენ მიდის და რეფორმატორულ ძვრებს სამართლიანად უკავშირებენ იააფის პრეზიდენტის პრიმო ნებიოლოს ავტორიტეტს.

აი, კიდევ ერთი სიახლე: ამიერიდან მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატებში მონაწილეობისათვის აუცილებელია ნორმატივების შესრულება და ამით ეს ასპარეზობა ოლიმპიურ მოთხოვნებს მიუახლოვდა. თანაც, ნორმატივი მაშინ ჩაითვლება თუ იგი უცხო ქვეყნის I კატეგორიის სტარტებზეა შესრულებული.

— ასეთ პოზიციას მივესალმებით, ამიერიდან ყველა ეჭვი გამოირიცხება, რასაც საერთოდ ეროვნული ფედერაციების მიმართ იჩენდნენ — გვითხრა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა თ. მღინარაძემ.

ახლა ჩვენი რამდენიმე სპორტსმენი ცდილობს მოიპოვოს წლევანდელი ზამთრის ჩემპიონატის (7-9 მარტი, პარიზი) საგზური. მოსკოვის ღია პირველობაზე რუსლან რუხაძემ 60 მ. 6,85 წამში გაირბინა და IV იყო, მაგრამ ნორმატივი 6,75 წამია. 19 იანვარს, მოსკოვში იააფის ეგიდით ჩატარდება საერთაშორისო შეჯიბრება „რუსკაია ზიმა", სადაც მხოლოდ უძლიერესთა გარბენი მოეწყობა, რუხაძე რეზერვშია და თუ ვინმე გამოაკლდება, შეცვლის. ასე რომ, ნორმატივის შესრულების შანსი რჩება. მერე წინაა ვოლგოგრადის შეჯიბრება (21-22 თებერვალი). თბილისში თამარ შანიძემ 60 მ. 7,04 წამში გაირბინა, ნორმატივი კი წამის მეათედით ნაკლებია. მოკლედ შანსი აქაც არის.

რაც შეეხება მაია აზარაშვილს იგი ახლა გერმანიაშია და ოპერაციის შემდეგ ზამთარში ვერ ვარჯიშობს.

როდმანის მუჯლუგუნმა „ჩიკაგოს“ ჯერჯერობით ვერაფერი ავნო

(პირველი გვერდიდან)

კარგად ჩაატარა შეხვედრა ტონი კუკოჩმაც – 18 ქულა. ეს მატჩი კიდევ იმით იყო აღსანიშნავი, რომ ჩიკაგოელთა რიგებში გამოჩნდა ნბა-ს ვეტერანი – 43 წლის რობერტ პერიში, რომელმაც სულ ორიოდე წუთი დაჰყო მოედანზე და ოთხი ქულაც შესძინა გუნდს.

თამაშის შემდეგ, ჟურნალისტთა მთავარ ინტერესს კვლავ დენის როდმანი წარმოადგენდა...

ტონი კუკოჩი: „პირველ ყოვლისა უნდა გითხრათ, რომ დენისი დიდი კალათბურთელია, მაგრამ ხანდახან ის ცდილობს სხვა რამეშიც გამოიჩინოს თავი, რაც ძალიან ძვირად უჯდება. მას არ ბეზრდება ჩვენი გაკვირვება თავისი ოინებით და ეს უკანასკნელი ისტორია ტელეოპერატორთან ყველაფერ ამის დასტურია“.

მაიკლ ჯორდანი: „როდმანი მკაცრად დაისაჯა. დენისი ხანდახან მართლა იმსახურებს დასჯას და სრულებით არ ვცდილობ მის წინააღმდეგ მიმართული სანქციების გაკრიტიკებას. როდმანთან ერთად „ჩიკაგო“, რა თქმა უნდა, უფრო ძლიერია, მაგრამ სანამ ის დისკვალიფიცირებულია, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ წინსვლა და ყველას დავუმტკიცოთ, რომ უდენისოდ შეგვიძლია მოგება“.

ჩიკაგოელმა „ხარებმა“ მომდევნო მატჩიც მოიგეს სტუმრად „სიეტლთან“ 91:84, ჯორდანმა კი კვლავ გაიბრწყინა – 45 ქულა. აქვე გაგაცნობთ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ბოლო შეხვედრათა შედეგებს:

„კლივლენდი“ – „მაიამი“ – 66:77.

„დალასი“ – „იუტა“ – 100:97. იუტელმა კარლ მელოუნმა 36 ქულა მოაგროვა და 11-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს.

„ნიუ-ჯერსი“ – „დეტროიტი“ 75:90

„ტორონტო“ – „ფინიქსი“ 110:86

„დენვერი“ – „საკრამენტო“ 107:113. საკრამენტოელ ტრავმირებულ შარუნას მარჩულიონისს კვლავ არ უთამაშია.

„კლიპერსი“ – „გოლდენ სტეიტი“ 110:98

„მილუოკი“ – „ფილადელფია“ 100:109

„ორლანდო“ – „ჰიუსტონი“ 103:90. „ჰიუსტონის“ რიგებში ამჯერადაც გამოტოვა მატჩი გუნდის ლიდერმა ჩარლზ ბარკლიმ, რომელსაც ტრავმა გაუმიზეზდა.

„მაიამი“ – „კლივლენდი“ 80:76.

„ნიუ-იორკი“ – „შარლოტა“ 93:99. „შარლოტას“ ლიდერმა რაისმა გუნდს 40 ქულა მოუტანა, ხოლო პატრიკ უინგმა ზედიზედ მეორე მატჩი გამოტოვა.

„მინესოტა“ – „პორტლენდი“ 103:102. „პორტლენდს“ აკლდა ტრავმირებული არვიდას საბონისი.



ჯორდანი (N23)

„დეტროიტი“ – „ფინიქსი“ 97:106.

„ლეიკერსი“ – „ვაშინგტონი“ 129:99. შაკილ ო'ნილმა „ლეიკერსს“ 26 ქულა შესძინა, 7-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს და 4 ბლოკ-შოტიც გააკეთა.

„დენვერი“ – „ატლანტა“ 115:104.

„ინდიანა“ – „ნიუ-ჯერსი“ – 92:90. რეჯი მილერმა 28 ქულა შესძინა „ინდიანას“.

„ბოსტონი“ – „ვანკუვერი“ – 92:102.

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ.	წ.	%
მაიამი	34	12	73,9
ნიუ-იორკი	33	14	69,6
ორლანდო	23	20	53,5
ვაშინგტონი	22	24	47,8
ნიუ-ჯერსი	13	32	28,9
ბოსტონი	11	33	25,0
ფილადელფია	11	34	24,4

ცენტრალური დივიზიონი

ჩიკაგო	42	5	89,4
დეტროიტი	33	12	73,3
ატლანტა	31	14	68,9
შარლოტი	28	19	59,6
კლივლენდი	25	21	54,3
ინდიანა	22	23	48,9
მილუოკი	21	25	45,7
ტორონტო	16	29	35,6

დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი

იუტა	32	14	69,6
ჰიუსტონი	32	15	68,1
მინესოტა	22	25	46,8
დალასი	16	28	36,4
დენვერი	15	32	21,9
სან-ანტონიო	11	32	25,6
ვანკუვერი	9	41	18,0

წყნარი ოკეანის დივიზიონი

ლეიკერსი	34	13	72,3
სიეტლი	32	14	69,6
პორტლენდი	25	23	52,1
საკრამენტო	21	27	43,8
კლიპერსი	19	25	43,2
გოლდენ სტეიტი	17	29	37,0
ფინიქსი	16	31	34,0

შენიშვნა: ნბა-ს ბოლო კვირის რჩეულ მოთამაშედ აღიარებულია „შარლოტ-ჰორნეთსის“ თავდამსხმელი გლენ რაისი: მან ოთხ შეხვედრაში საშუალოდ 36,8 ქულა დააგროვა.

კურიოზები

ომარ შოშიტაშვილის ჩანაწერებიდან

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალურ მდივანს ომარ შოშიტაშვილს, როგორც სპორტსმენს, მწვრთნელს, მსაჯს და ფუნქციონერს თითქმის ოთხი ათეული წელი აკავშირებს ძიუდოს სამყაროსთან. ბატონი ომარი თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი, თავმდაბალი, ყურადღებიანი, გულისხმიერი, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული პიროვნებაა. ვიცოდით, რომ ბევრი საინტერესო რამ ახსოვს და ვთხოვეთ „ლელოს“ მკითხველებისთვისაც მოეთხრო ზოგიერთი მათგანის შესახებ. არ დაგვიზარდა. ამიერიდან პერიოდულად შემოგთავაზებთ მის ჩანაწერებს, რაც, ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება მკითხველისათვის.

როცა დამარცხება გამარჯვებას სჯობს

1977 წელს, მინსკში, ჭაბუკთა საკავშირო პროფკავშირების პირველობა ტარდებოდა თავისუფალ ჭიდაობაში. 70 კგ. წონაში, სადაც ჩვენი ნაკრებიდან თამაზ წილაური გამოდიოდა, ერთი შეხედვით წარმოუდგენელი სიტუაცია შეიქმნა. ქართველ ჭაბუკს, რომელმაც ოთხი შეხვედრა მოიგო და ერთში ქულებით დამარცხდა, შემდეგ წრეში თუ წმინდად მოიგებდა, ჩემპიონი გახდებოდა, ქულებით გამარჯვება საპრიზო ადგილის მიღმა დატოვებდა, წაგებით კი... ვერცხლის მედალი ექნებოდა გარანტირებული.

— მეტოქესთან ნებით როგორ დავმარცხდებოდი, მე რაც შევძელი, გავაკეთე. მაგრამ მხოლოდ ქულებით გავიმარჯვე. — თქვა შემდეგ თამაზმა, რომელმაც გარანტირებულ ვერცხლის მედალს ვაჟკაცური პაექრობა და საერთოდ უმედლოდ დარჩენა ამჯობინა.

ჩამწარებული გამარჯვება

მომავალი წლის ანალოგიური პირველობა ჩებოქსარში ჩატარდა. ჩვენმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა და გახარებულები 3 საათით ადრე მივედით აეროპორტში. ჩვენი ბილეთები რეგისტრატორმა დიდხანს ატრიალა ხელში და ბოლოს მკაცრი ტონით გვითხრა: ასეთი რეისი, საერთოდ არ არსებობსო. ჩვენი დაჟინებული მოთხოვნით დაუკავშირდნენ მოსკოვს. აღმოჩნდა, რომ თბილისში, შეცდომით ბილეთები კაზანი – მოსკოვი – თბილისის რეისით გამოუწერიათ. ცხადია, ჩებოქსარიდან კაზანში ვერ გავფრინდებოდით და ზოგი მინერალურ წყლებში, ზოგიც მოსკოვში გაემგზავრა შინ დასაბრუნებლად.

შემდეგ ვერანაირად ვერ გავარკვიეთ ვინ დაუშვა შეცდომა — აეროფლოტის თბილისელი მოლარე უფროს მოლარეს აბრალებდა, ის თავის მხრივ დისპეტჩერს, დისპეტჩერი — მოსკოვს...

მოსკოვს კი ყველაფერი ეპატიებოდა!

მაიკლ ჯონსონის „ოქროს ფეხსაცმელები“

იმას, რომ მაიკლ ჯონსონმა 200 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ბევრი მიმომხილველი, ხუმრობით თუ სერიოზულად, მის საგანგებოდ შეკერილ „ოქროს ფეხსაცმელებს“ მიაწერს.

რას წარმოადგენს ეს „ოქროს ფეხსაცმელი“? იგი უდავოდ დიდი სპეციალისტის ტომ კარლეოს ნახელავია. ასეთი მსუბუქი ფეხსაცმელი მძლეოსნობის ისტორიაში საერთოდ არავის ჩაუცვამს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იგი დაახლოებით ორჯერ ნაკლებს იწონის, ვიდრე მაიკლ ჯონსონის ყველა სხვა მეტოქისა. ვირტუოზმა მკერავმა ჯონსონის რბენის ყველა თავისებურება გაითვალისწინა, ამიტომ მარჯვენა და მარცხენა ფეხისათვის ასიმეტრიული ფეხსაცმელი შექმნა. „თავად ვერ ვიჯერებ, ყველაფერი ისე კარგად გამომივიდა“. ეს „ოქროს ფეხსაცმელი“ დიდ სპრინტერს ატლანტაში სულ რაღაც 19 წამი დასჭირდა, შემდეგ კი აღარასოდეს ჩაუცვამს.

ჩვენი მოჭადრაკეები ბუნდესლიგაში

გერმანული ჟურნალი „შახრეპორტი“ (ადრე მას „დოიჩე შახცაიტუნგი“ ერქვა) თითქმის ყველა ნომერში აშუქებს ბუნდესლიგის (გერმანიის გუნდური პირველობა ჭადრაკში) შეჯიბრებას.

პირველ ბუნდესლიგაში 16 კლუბი მონაწილეობს, თითოეულში 8 მოჭადრაკეა, ამასთან, უცხოელების რაოდენობა შეზღუდული არ არის. ამით ისარგებლეს ორგანიზატორებმა და არაერთი ცნობილი დიდოსტატი მიიწვიეს. ასე, მაგალითად, ბერლინის „ემპორს“, რომელიც ახლა პირველ ადგილზეა, ლიდერობს ცნობილი დიდოსტატი ალექსეი შიროვი, რომელიც რიგიდან სამუდამოდ ესპანეთში გადასახლდა. „პორცში“, რომელსაც არაერთგზის გაუმარჯვნია ბუნდესლიგაში, გამოდიან ბორის გელფანდი (ბელორუსია), რაფაელ ვაჰანიანი (სომხეთი), რომელიც მუდმივად გერმანიაში ცხოვრობს, ჰოლანდიელები ვან ველი და ვან დერ ვილი. ამჟამად „პორცი“ მეორე ადგილზეა, „დრეზდენში“ თამაშობენ ზოლტან ალმაში (უნგრეთი) და ზიგრუდ ლანკა (ლატვია). ამ შეჯიბრებაში არაერთგზის გამარჯვებულ „ზოლინგენში“ — სამი ინგლისელი დიდოსტატი მაიკლ ადამსი, ჯონათან სპილმენი და მიურეი ჩანდლერი, აგრეთვე ახალგაზრდა ჰოლანდიელი იერუნ პიკეტი. აქვე გამოდის განთქმული არტურ იუსუპოვი, რომელიც კარგა ხანია უკვე გერმანიის მოქალაქეა. „ბოხუმს“ ლიდერობენ რუსები იგორ გლეკი და სერგეი სმაგინი, „დუისბურგში“ გამოდიან რუსეთის ახლანდელი ჩემპიონი ალექსანდრ ხალიფმანი, ინგლისელი ჯონ ნანი, უნგრელი დიულა საქსი. აქვეა გერმანული ჭადრაკის ვეტერანი ვოლფგანგ უნციკერი. ყველას ჩამოთვლა გაგვიჭირდებოდა.

მეორე ბუნდესლიგა ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი. აღმოსავლეთის ჯგუფში გამოდის „ბამბერგი“, რომელმაც თავისი შემადგენლობა ნანა იოსელიანით (იგი პირველ დაფაზე თამაშობს) და ცნობილი ჩეხი საერთაშორისო ოსტატით იოჟეფ პრიბილით გააძლიერა. ამ ტურნირში თამაში ნანა იოსელიანისათვის, რომელიც პრაღაში ცხოვრობს და ადგილობრივ ტურნირებში მონაწილეობს, კარგი ვარჯიშია მისთვის უმნიშვნელოვანესი მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ასპარეზობაში გამოსვლის წინ. ეს ორწრიანი შეჯიბრება საორიენტაციოდ მაისისათვის არის დანიშნული. მეორე ბუნდესლიგაში თამაშობს გერმანიის №1 მოჭადრაკე ქალი ქეთევან კახიანი, რომელსაც იგივე მთავარი მიზანი აქვს — პრეტენდენტთა ტურნირში წარმატებით გამოსვლა. ყოფილი თბილისელი ჭაბუკი, ამჟამად სომხეთის მოქალაქე, მუდმივად კი პრაღაში მცხოვრები სერგო მოვსესიანი, რომელსაც მალე ფიდეს კონგრესმა დიდოსტატის წოდება უნდა მიანიჭოს, გამოდის „ნოიკიოლინში“: „კარლსრუეს“ გუნდს ლიდერობს ახალგაზრდა თბილისელი ოსტატი მიხეილ ყველიძე, რომელიც გერმანიაში სწავლობს და მონაწილეობს ადგილობრივ შეჯიბრებებში.

იოგა თქვენს ცხოვრებაში

სწორი სუნთქვა ჯანმრთელობაა!

ეკოლოგიური პრობლემა დღეს მთელს მსოფლიოს აწუხებს და ჩვენც ნელ-ნელა ვერთვებით ამ სატკივარში. დაბინძურებული გარემო, ადრე თუ გვიან, ჩვენს ორგანიზმში დატოვებული კვალით უთუოდ შეგვახსენებს თავს. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, თითქმის არანაირი პერსპექტივა არ არის, რომ მოკლე ხანში ჩვენში გადაიჭრება მანქანების გამონაბოლქვის გაწმენდის პრობლემა (მარტო თბილისში, როგორც სტატისტიკა იუწყება, ამჟამად 200 ათასზე მეტი მანქანა მოძრაობს), ვერც თამბაქოს არამწეველ ქვეყნად ვიქცევით, ვერც ბოლო წლებში გაჩანაგებული მწვანე ზოლი აღსდგება ხელის ერთი დაკვრით და ვერც, საერთოდ, მთებს შუა მოქცეული თბილისი შეიცვლის თავის რელიეფს (ბუნებრივი განიავება გვაქვს მხედველობაში). ერთი სიტყვით, ყოველდღიურად, საფრთხეშია ჩვენი ჯანმრთელობა, იმატა სასუნთქი გზების დაავადებებმა.

გამოსავალი სწორ სუნთქვაშია.

მინდა მკითხველებს შევთავაზო თავის ტვინის და სისხლის ტოქსინებისაგან გაწმენდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აპრობირებულია ინდოელი იოგების მიერ.

მას ეწოდება პრანა-იამა. სანსკრიტზე „პრანა“ ნიშნავს სუნთქვას, „იამა“ – ვარჯიშს.

იოგების მოძღვრების თანახმად, „პრანა“ სასიცოცხლო ძალაა, რომელიც ყველა ცოცხალი არსების დამახასიათებელია. პრანა ნიშნავს სიცოცხლეს, სიცოცხლე სუნთქვაა. ჩვენ ვცოცხლობთ მანამ, ვიდრე ვსუნთქავთ და ვსუნთქავთ მანამ, ვიდრე ვცოცხლობთ.

ადამიანი პირველი ჩასუნთქვით იწყებს სიცოცხლეს და ბოლო ამოსუნთქვით ამთავრებს.

სუნთქვა ერთ-ერთი ვეგეტატიური ფუნქციაა, რომელიც შეიძლება ვმართოთ ნებისყოფის საშუალებით. რადგან სუნთქვითი კუნთები მჭიდროდ არის დაკავშირებული „ნებისყოფის კუნთებთან“, ჩვენ შეგვიძლია შეგნებულად ვიმოქმედოთ მასზე, გამოვიწვიოთ მთელი გულმკერდის ან მისი ცალკეული ნაწილის გაფართოება ან შევიწროება და ამრიგად, შევასრულოთ ამა თუ იმ სახის სუნთქვითი ვარჯიში.

სუნთქვა, როგორც აირნივთიერებათა ცვლის პროცესი, ვეგეტატიურ ფუნქციას ასრულებს. იგი რეფლექსურ გავლენას ახდენს სხვა ვეგეტატიურ ფუნქციებზე და აამოძრავებს მათ. სუნთქვის მეშვეობით შეგვიძლია ვიმოქმედოთ გულზე, სისხლის მიმოქცევისა და ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზე. მაგალითად, სუნთქვის ნებელობითი შეჩერების მეშვეობით შეგვიძლია ძლიერი ზემოქმედება მოვახდინოთ ნერვულ სისტემაზე და ამით შევასრულოთ გულისა და სისხლის მიმოქცევის სისტემის ფუნქციური მოქმედება. როგორც ვხედავთ, ნებელობითი ჰიპოქსია სუნთქვის შეჩერების შედეგად იწვევს ტვინისა და გულის სისხლძარღვთა გაფართოებას და კიდურების სისხლძარღვების შევიწროებას. მთელ ამ მექანიზმს შეგვიძლია საკმაოდ კარგად დავეუფლოთ ვარჯიშის საშუალებით. ეს კი ადამიანის ნებისყოფის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიღწევაა. ამ მექანიზმს იოგები სრულყოფილად ფლობენ. ამასთან, ძლიერი და აჩქარებული ამოსუნთქვა არა მარტო წმენდს სასუნთქ გზებსა და სისხლს, არამედ, ამავე დროს, ჰაერის ნაკადი ცხვირის ღრუს გავლისას ზედმიწევნით აღიზიანებს მის ლორწოვან გარსს. კერძოდ, მასში მოთავსებულ რეცეპტორებს (მგრძნობიარე ნერვულ დაბოლოებებს). ისინი კი თავის მხრივ, იწვევენ ვეგეტატიურ რეფლექსებს, რომლებიც აფართოებენ ბრონქებს და მათ უმცირეს განშტოებებს. ბრონქიოლებს, რითაც აადვილებენ ჰაერის ნაკადის შესვლას ფილტვების ალვეოლებში.

სწორი სუნთქვის პირველი და მნიშვნელოვანი ფაქტორია ცხვირით სუნთქვა. ცხვირით სუნთქვას პირით სუნთქვასთან შედარებით აქვს ის უპირატესობა, რომ ამ გზით ფილტვებში მოხვედრილი ჰაერი, ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის სისხლძარღვთა მდიდარი ქსელისა და ბუსუსების საშუალებით, თბება და იწმინდება. ცხვირით სუნთქვა აქტიურად მონაწილეობს თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულაციაში.

სწორედ ამიტომ არის იოგების სუნთქვა ბრონქული ასთმისაგან განკურნების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. გარდა ამისა, იოგების სუნთქვა აძლიერებს და აჯანსაღებს მთელ სასუნთქ სისტემას, ანიჭებს მას გამძლეობას გაციებისა და სხვა დაავადებების წინააღმდეგ.

გაკვირვებას იწვევს, რომ თანამედროვე ცივილიზებული ადამიანი, რომელიც თავისი სიცოცხლის თითქმის ნახევარს სწავლაში ატარებს, ვერ ეუფლება ჯანმრთელობის შენარჩუნების ამ ელემენტარულ წესს. ადამიანთა უდიდესი ნაწილი პირით სუნთქავს, განსაკუთრებით ლაპარაკისა და ძილის დროს. ბავშვებიც პირით სუნთქავენ, რის გამოც მათი ფარისებრი ჯირკვალი ცუდად ფუნქციონირებს. ეს კი აფერხებს მათ ფსიქიკურ და გონებრივ განვითარებას.

თუ ღია ცის ქვეშ ვარჯიშის საშუალება არ გაქვთ, ოთახის ფანჯარა გამოაღეთ.

ნორმალურ, მოდუნებულ მდგომარეობაში, პირდაპირი დგომის დროს ვასრულებთ სამი ფაზისაგან შემდგარ ჩასუნთქვას.

ა. პირველი ფაზა: დაუშვით დიაფრაგმა, ნელა გამობერეთ მუცელი ისე, რომ, ჰაერს კი არ ჩავისუნთქავთ, არამედ საშუალებას მივცემთ თავისუფლად შევიდეს ფილტვებში.

ბ. მეორე ფაზა: ვაფართოვებთ ქვედა ნეკნებს და გულმკერდის შუა ნაწილს ისე, რომ ჰაერი ნელა მიემართება ფილტვების შუა ნაწილში. ეს ფაზა შეესაბამება საშუალო სუნთქვას. ძალიან კარგია ხელების დადება მუცელსა და მკერდზე, რათა მათი მოძრაობა ვიგრძნოთ.

მამაკაცები სწრაფად ითვისებენ ამ ორ ფაზას, რადგან მათ [illegible] მუცლისმიერი სუნთქვა.

გ. მესამე ფაზა: გულმკერდს მაქსიმალურად ვაფართოვებთ და გამოვბერავთ. ამ მოძრაობით ჩავისუნთქავთ იმდენ ჰაერს, რამდენიც ჩაეტევა ჩვენს გაბერილ გაფართოებულ ფილტვებში. ამ ბოლო ფაზაში ცოტათი მოვქაჩავთ მუცელს და იგი საყრდენი ხდება გულმკერდისა და ფილტვებისათვის, რაც მთლიანად ივსება ჰაერით ზედა ნაწილში. ამგვარად, ბოლო ფაზა ზედა სუნთქვაა.

იოგების სრული სუნთქვის შემსრულებელ სხეულს შორიდან რომ შევხედოთ შევამჩნევთ ერთიან, ტალღისებურ, მშვიდ მოძრაობას მუცლიდან ზემოთ, მხრებისა და ლავიწისაკენ. ცხვირიდან ჰაერს ნელა ამოვისუნთქავთ იმავე თანმიმდევრობით, როგორც ჩავისუნთქავთ. ჯერ ამოვისუნთქავთ მუცლის მოქმედებით და ქვედა ნეკნების დაწევის ხარჯზე. შემდეგ დავუშვებთ მხრებს და ლავიწის ძვლებს. ამოსუნთქვისას მოვადუნებთ მუცლისა და ნეკნების კუნთებს ისე, რომ ფილტვებში ნაკლები ჰაერი დარჩეს. ამ დროს თავს ძალა არ უნდა დავატანოთ.

ამ ვარჯიშს ვატარებთ ერთი წუთის განმავლობაში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

ვინც სისტემატურად ასრულებს იოგების ვარჯიშს, თითქმის არასოდეს ცივდება, არ ემართება ფილტვების ანთება, კატარი, სასუნთქი გზების ანთება.

იოგების მოძღვრების თანახმად, სისხლის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული ფილტვების მიერ შესუნთქულ ჟანგბადსა და პრანაზე. თუ სუნთქვის შედეგად ადამიანი იღებს მცირე ჟანგბადსა და პრანას, სისხლი ივსება ნარჩენებითა და ტოქსინებით, რაც ამძიმებს და თანდათან წამლავს ორგანიზმს.

ალექსი იაკობაშვილი
ქ. ბომბეის იოგა-თერაპიის აკადემიის
საპატიო დოქტორი, პროფესორი.

გაზაევის გუნდში მძაფრი კონკურენციაა, ზაზა ჯანაშიას კი ნაკრებში თამაში სურს

ქართველი ლეგიონერები

ამას წინათ, კვიპროსიდან ნაცნობი ბიზნესმენი ჩამოვიდა, სხვათა შორის, ფეხბურთის დიდი მოტრფიალე. ერთი თვე დავყავი ხმელთაშუა ზღვის ამ პატარა კუნძულზე და, ნუ გაგიკვირდება, რუსეთში მეგონა თავიო — მითხრა. აიანაპაში, სადაც ვცხოვრობდი, იანვარში შეკრებას გადიოდნენ ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივი“, ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზი“, ვორონეჟის „ფაკელი“, შემდეგ — თებერვალში აქ ჩამოვიდნენ ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცი“, „ბალტიკა“, მოსკოვის ცსკა. დაუმატეთ მათ რუსეთის მეორე-მესამე ლიგის კიდევ ოცამდე გუნდი, უკრაინის „შახტიორი“ და, თავად განსაჯეთ, ჩემისთანა ფეხბურთის გურმანისთვის ნამდვილი „კლონდაიკი“ იყო — დღეში 4-5 მატჩი მაინც იმართებოდაო. ცხადია, ქართველ ბიზნესმენს, პირველ რიგში ჩვენებური ლეგიონერების თამაში აინტერესებდა. მშვენიერ სპორტულ ფორმაში ყოფილა კამაზელი **მიხეილ ჯიშკარიანი**. ჩაიკოვსკის „ენერგიასთან“ მატჩში ექს-ცხუმელს მხოლოდ ერთი ტაიმი დაუყვია მინდორზე და ამ ხნის მანძილზე, თურმე ისეთი დღე აყარა მეტოქე მცველებს, მტრისას. შეხვედრის პირველივე წუთებზე მიხეილს სოლო გარღვევა გაუკეთებია, ოთხი მცველი და მეკარე მოუტყუებია, გოლის გატანა თავადაც შეეძლო, მაგრამ უფრო კარგ პოზიციაში მდგარი თანაგუნდელისათვის მიუცია საგოლე პასი. მალე ჯიშკარიანს თავადაც გაუტანია ბურთი. მატჩის შემდეგ „კამაზის“ მწვრთნელს, ლიტველ ზელკიავიჩუსს საგანგებოდ აღუნიშნავს ქართველი ლეგიონერის კარგი თამაში — მომავალ სეზონში ჯიშკარიანის დიდი იმედები მაქვსო.

კვიპროსიდან გამომგზავრების წინ ჩვენს თანამემამულეს მოსკოვის არმიელთა ახალწვეული **ნუგზარ ლობჟანიძეც** უნახავს. იგი დიდი მონდომებით ვარჯიშობს და იმედი აქვს გუნდში ადგილს დაიმკვიდრებსო.

ახლა სხვა ქართველ ლეგიონერებზეც ვთქვათ. ვლადიკავკაზის „ალანია“, იცით, შეკრებაზე ისრაელში იმყოფებოდა. იქიდან დაბრუნებულებს გაზაევმა სამდღიანი შვებულება უბოძა და **მურთაზ შელია, ლევან კობიაშვილი** და **გიორგი გახოკიძე** უმალვე ახლობლებისა და ნათესავების სანახავად თბილისს გამოემგზავრნენ. ცხადია, ასეთ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდით, ჩვენი ლეგიონერები მოვინახულეთ. მათი თქმით, „ალანიაში“ წლეულს უძლიერესი კონკურენციაა — თითო ადგილზე პრეტენზიას ლამის სამი მოთამაშე აცხადებს. ასე რომ, ვარჯიშებზე თავს არ ვზოგავთო. ბიჭების პროგნოზით, ვლადიკავკაზელთა გუნდის ძირითადი შემადგენლობის დაცვითი ხაზი თითქმის გარკვეულია: ლიბერო — ცვეიბა, მარჯვნივ — ცხადაძე, მარცხნივ — შელია, ნახევარდაცვაში გაზაევი კობიაშვილს მარცხნივ აყენებს, ხოლო გახოკიძეს — უკან დახეულ თავდამსხმელად. მკითხველი „ლელოს“ ამ ნომერს რომ გაეცნობა, „ალანია“ უკვე იტალიაში იქნება შეკრებაზე. დაგეგმილია ამხანაგური მატჩები „რეჯანასთან“, „რომასთან“, მოსკოვის „დინამოსთან“.



გიორგი ქინქლაძე

რაკი იტალიაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, გეტყვით, რომ სერია „A“-ს XIX ტურში „რომას“ შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა **ომარ თეთრაძეს**. მან საკმაოდ მაღალი შეფასება — 6,5 მიიღო. იტალიური პრესა დადებითად ახასიათებს „რომას“ მარჯვენა მცველის მოქმედებას „ვიჩენცას“ წინააღმდეგ. მაგალითად, „კორიერე დელო სპორტ სტადიო“ წერს: „გუნდის ახალბედამ, რომელიც 31-ე ნომრით გამოდიოდა, დაცვის მარჯვენა ფლანგზე დიდი სამუშაო შეასრულა და სოლიდურობა შეიტანა „რომას“ თამაშში. ერთხელ იგი შეტევაშიც ჩაერთო და სახიფათოდ დაარტყა კარში... თეთრაძემ გაამართლა ჩვენი იმედები. სავარაუდოა, რომ იგი კიდევ მოუმატებს თამაშს“.

ზაზა ჯანაშია

გასულ კვირას კვლავ გაიბრწყინა **გიორგი ქინქლაძემ**. ინგლისური პრესის აღიარებით მან „ოქსფორდის“ წინააღმდეგ ერთ-ერთი თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა. „სიტიმ“ ეს შეხვედრა მოიგო ანგარიშით 4-1. ქართველმა ლეგიონერმა ორი ბრწყინვალე გოლი გაიტანა. გარდა ამისა, ორჯერ ისე მახვილგონივრულად მოაწოდა კუთხურები, რომ პარტნიორებს გოლის გატანის მეტი არაფერი დარჩენოდათ.

გუშინწინ კი „სიტი“ ინგლისის თასის მერვედფინალში გავიდა მას შემდეგ, რაც „უოტფორდი“ 3-1 დაამარცხა (ქინქლაძემ ორი საგოლე გადაცემა შეასრულა) და ახლა 15 თებერვალს პრემიერლიგის „მიდლსბროს“ უმასპინძლებს.

კვლავ რუსეთისკენ გადმოვინაცვლოთ. გასული კვირა უიღბლო იყო მოსკოვის „ლოკომოტივში“ მოთამაშე ქართველი თავდამსხმელის **ზაზა ჯანაშიასათვის**. ერთ-ერთ ვარჯიშზე მან ტრავმა მიიღო და რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამოტოვა. თუმცა, ექიმების თქმით, სერიოზული არაფერია და ამ დღეებში ჯანაშია გუნდს ისრაელში გაყვება შეკრებაზე. „ლელოს“ მოსკოველ კორესპონდენტთან საუბარში ზაზამ იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალი ხელმძღვანელობა მეტ ყურადღებას დაუთმობს მის გამოსვლებს „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში და ამით დაარწმუნებს, რომ ღირსია ითამაშოს ნაკრებში.

საქართველო

ახლა აქაურ ამბებზეც მოგახსენებთ. ამ დღეებში კვიპროსიდან სამშობლოში დაბრუნდა თბილისის დინამოელი, ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი **კახი გოგიჩაიშვილი**. როგორც „აუქციონის“ წინა ნომერში შეგატყობინეთ, კახის კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა არც თუ ისე ძლიერმა კვიპროსულმა კლუბმა „აელმა“ და ამიტომ იგი წინასწარ გაემგზავრა კვიპროსს, რათა გაცნობოდა იქაურ პირობებს. ქართველი ფეხბურთელი კვიპროსში გამგზავრებას ამ ზაფხულს აპირებს, სეზონს კი მშობლიურ „დინამოში“ ჩაამთავრებს, ალბათ.

თბილისის „მერანი-91“-ში მომხდარ სიახლეებზე არაერთხელ დაგვიწერია. საბოლოოდ გაირკვა, რომ კლუბი დასტოვეს პერტიამ, ჭოლოკავამ, კაკუბავამ. ამჟამად გუნდის მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე ამოწმებს რამდენიმე ახალ ფეხბურთელს, მათ შორის თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდ „მორკინალის“ მარცხენა მცველს **დიმიტრი აბაზაძეს**. „ლელოს“ მკითხველებს უთუოდ ემახსოვრებათ, რომ ჯერ კიდევ შარშან, ოქტომბერში, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ყურადღება გავამახვილეთ ამ უდავოდ პერსპექტიულ ახალგაზრდა ფეხბურთელზე და მას კარგი მომავალი ვუწინასწარმეტყველეთ. მართლაც, საამისოდ მას ყველა პირობა აქვს: მშვენიერი ფიზიკური მონაცემები, გამძლეობა, შესაშური შრომისმოყვარეობა. და რითაც სახელი გაითქვა — ყუმბარისებური შორეული დარტყმები. ნეტავ დაგანახათ, რა დღეში არიან მეკარეები, აბაზაძე რომ ჯარიმებს ურტყამს!

მნიშვნელოვანი ცვლილებები მომხდარა ზუგდიდის „ოდიშში“. გახსოვთ, წლის ბოლოს ამ კოლექტივში ფინანსური პრობლემები წარმოიშვა, რის გამოც რამდენიმე მოთამაშემ რუსეთის კლუბებში გასასინჯად გასწია. ეტყობა, ზუგდიდელთა გასაჭირი დროებითი იყო, ვინაიდან მოიძებნა შეძლებული მეპატრონე — ამიერიდან კლუბის ახალი პრეზიდენტია ცნობილი კომერსანტი **ვახტანგ ნანავა**. პატრონი გაგვიჩნდაო, და... რუსეთში გადახვეწილი ყველა ფეხბურთელი უკლებლივ დაუბრუნდა ზუგდიდურ კლუბს, მათ შორის გაზაევის მიერ დაწუნებული **ვალტერ ბუჩუაც**. ასე, რომ „ოდიში“ მეორე წრეს წელგამართული, თითქმის სრული შემადგენლობით ხვდება (ერთი დანაკლისი მაინც არის — პოლონეთის „რუხში“ გადავიდა თავდამსხმელი **მამუკა ჯიქია**).

დიმიტრი აბაზაძე

ამას ვერ ვიტყვით, სამწუხაროდ, „სამტრედიაზე“. დღე არ გავა, რომ ამ გუნდის დანაკლისზე რაიმე არ შევიტყოთ. ახლაც — გუნდის კაპიტანი **გელა ფანჩულიძე** წავიდაო ისრაელში ბედის საძიებლად.

იტალია

ამ ქვეყანაში გრძელდება აჟიოტაჟი ლიბერიელი თავდამსხმელის, 1995 წლის მსოფლიოს რჩეული მოთამაშის **ჟორჟ ვეას** გარშემო. მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელი ფაბიო კაპელოს ინტერვიუში, რომელიც ესპანური სპორტული გაზეთ „As“-ში გამოქვეყნდა, მწვრთნელი აცხადებს, რომ მომავალი სეზონისათვის იგი შეგუებულია იმ აზრს, რომ **დავორ შუკერი** გადავა ინგლისური პრემიერლიგის რომელიმე კლუბში. ამიტომ მან სამეფო კლუბის მეპატრონეებს სთხოვა მოლაპარაკება დაიწყონ „მილანთან“ ვეას გადმოსაბირებლად. ახლა არიგო საკის რეაქციას არ იკითხავთ? „პაეზე სერას“ კორესპონდენტთან საუბარში მან მოკლედ მოჭრა: „ვეა არ იყიდება. თუ იგი წავა, მე დავტოვებ „მილანს“. ამის შესახებ კლუბის მეპატრონეებმა იციან“.

არანაკლები ვნებათაღელვაა „სამპდორიის“ შვედი მწვრთნელის **სვენ-გორან ერიქსონის** ირგვლივ. საქმე იმაშია, და ამის შესახებ „აუქციონი“ თავის დროზე იტყობინებოდა, რომ ერიქსონმა ადრე ინგლისის „ბლექბერნთან“ წინასწარგანზრახულობათა ოქმს მოაწერა ხელი, რომლის მიხედვით შვედი სეზონის დამთავრების შემდეგ იტალიიდან სწორედ ამ კლუბში გადავიდოდა. ახლა, როდესაც „სამპდორიამ“ წარმატებით ჩაატარა სერია „A“-ს რამდენიმე მატჩი და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გადმოინაცვლა, იტალიურ პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ ერიქსონს „ნისლიანი ალბიონის“ ნაპირებისკენ გული აღარ მოუწევს, იგი თითქოსდა, რომის „ლაციომ“ გადმოიბირა. ამასთან დაკავშირებით „ბლექბერნის“ კლუბის პრეზიდენტმა რობერტ კოარმა ოფიციალურად განუცხადა ჟურნალისტებს, რომ იტალიურ პრესაში გამოქვეყნებული მასალები სინამდვილეს არ შეეფერება, ერიქსონი ამ სეზონის დამთავრებისთანავე „ბლექბერნთან“ გააფორმებს კონტრაქტსო. სხვათა შორის, ჭორი იმის თაობაზე, რომ ერიქსონი „ლაციოში“ გადადის, მას შემდეგ წარმოიშვა, რაც ამ კლუბის მთავარი მწვრთნელი ჩეხი **ზდენეკ ზემანი** გაანთავისუფლეს.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, შვედეთის ნაკრების თავდამსხმელი **თომას ბროლინი** სეზონის დასკვნით ნაწილს თავის ყოფილ კლუბ „პარმაში“ გაატარებს. შეგახსენებთ, 1995-ში 27 წლის სკანდინაველი იყიდა ინგლისურმა „ლიდს იუნაიტედმა“, მაგრამ ამ გუნდში ბროლინმა ფეხი ვერ მოიკიდა, თანაც ბოლო დროს მთლად კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა მწვრთნელ ჯორჯ გრემთან. როგორც „ლიდსის“ პრეზიდენტმა ბილ ფოტერბომ განაცხადა, ბროლინი „პარმას“ ივნისამდე ათხოვეს, რის საფასურადაც ინგლისელები 300 ათას გირვანქა სტერლინგს მიიღებენ. „ლიდსს“ იმედი აქვს, რომ ზაფხულში შვედ ფეხბურთელს „პარმა“ საბოლოოდ იყიდის, ამისათვის იტალიელებმა ინგლისელებს „სულ რაღაც“ 3 მილიონი გირვანქა უნდა გადაუხადონ.

იაპონია

რაც დრო გადის იაპონურ კლუბებში იზრდება ლეგიონერთა რიცხვი. იტყობინებიან, რომ კლუბ „ნაგოია გრამპუს ეიტთან“ კონტრაქტის გაფორმება სურს უნგრეთის ნაკრებისა და პორტუგალიის „პორტოს“ 23 წლის ნახევარმცველს **პეტერ ლიპჩეის**. მას შემდეგ, რაც პორტუგალიური კლუბი დატოვა ინგლისელმა მწვრთნელმა ბობი რობსონმა ახალგაზრდა ფეხბურთელს გუნდის ძირითად შემადგენლობაში აღარ ათამაშებენ. „ნაგოიას“ ამჟამად წვრთნის პორტუგალიის ნაკრების ყოფილი თავკაცი კარლუშ კეიროში, რომელსაც სურს კიდეც შეიძინოს უნგრელი.

არ გეგონოთ, რომ იაპონიას მხოლოდ ევროპელები ეშურებიან. ამ დღეებში კლუბ „სანფრეკე ხიროსიმასთან“ კონტრაქტს ხელი მოაწერა კოტ-დ'ივუარის ნაკრების თავდამსხმელმა **იუსუფ ფოფანამ**. 31 წლის ფეხბურთელმა კარიერა აბიჯანის „ასეკში“ დაიწყო, შემდეგ გამოდიოდა ფრანგულ კლუბებში — „კანში“, „მონაკოში“ და „ბორდოში“. ბოლო წლები ფოფანა თამაშობდა თურქეთისა და საუდის არაბეთის კლუბებში.

საბერძნეთი

ბერძნულ პრესაში გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ აეკში მოასპარეზე ქართველი ლეგიონერის **თემურ ქეცბაიასა** და კლუბ "კაიზერსლაუტერნის" წარმომადგენელთა მოლაპარაკება გერმანულ გუნდში გადასვლის თაობაზე წარუმატებელი გამოდგა. „მათ მიერ შემოთავაზებული პირობები ხელს არ მაძლევს და ეტყობა აეკში სეზონის ბოლომდე დავრჩები“ — განაცხადა ქეცბაიამ.

საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი“ კიდევ უფრო გაძლიერდა — კლუბის მეპატრონეებმა კვიპროსული „ანორთოსისიდან“ 750 ათას დოლარად შეისყიდეს კვიპროსის ნაკრების წევრი, ეროვნებით სერბი **სინიშა გოგიჩი**. კონტრაქტი ორწლინახევრიანია. გოგიჩი მეორე კვიპროსელია, ვინც ამ ბოლო დღეებში საბერძნეთის კლუბებს მიაშურა. მანამდე „პანათინაიკოსმა“ ნიქოზიის „ომონიიდან“ 350 ათას დოლარად **კოსტას მალეკოსი** შეისყიდა.

თემურ ქეცბაია

ესპანეთი

კატალონიური „ბარსელონა“ ძალიან წარუმატებლად ატარებს ბოლო მატჩებს. მისი გულშემატკივრები გადაჭრით ითხოვენ ინგლისელი მწვრთნელის **ბობი რობსონის** გადაყენებას. ამ დღეებში „ბარსას“ ვიცე-პრეზიდენტმა ხუან გასპარმა უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს, კლუბი **ლუის ვან გაალის** (მან ახლახანს დასტოვა „აიაქსი“) გადმობირებას ცდილობს: „ჩვენ ამაზე არც გვიფიქრია. ბობი რობსონმა „ბარსაში“ კიდევ ბევრი ბედნიერი სეზონი უნდა გაატაროს“. თავად რობსონმა „ელ პაისის“ კორესპონდენტს ეს განუცხადა: „ზოგიერთს ნება რომ მისცე, შეიძლება ფიზიკურად გამანადგუროს. როდესაც ჩემს წინააღმდეგ მიმართულ სტატიებს ვკითხულობ, ისეთი გრძნობა მიპყრობს, თითქოს ტყვიებს მესვრიან“. ასე რომ, ჯერჯერობით რობსონი მოხსნას გადაურჩა.

კარლოს ბილარდო

ესპანურ პრესაში გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ შესაძლოა ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი **კარლოს ბილარდო**, რომელიც ამ ქვეყნის ნაკრები 1986 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახადა, „სევილიას“ მწვრთნელად დაინიშნოს ხოსე ანტონიო კამაჩოს ნაცვლად. შეგახსენებთ, წლევანდელ ჩემპიონატში „სევილია“ წარუმატებლად გამოდის და ლიგიდან გავარდნის კანდიდატია.

ინგლისი

პრემიერლიგის ბოლო ადგილზე მოჩანჩალე „მიდლსბრო“ გამალებით ეძებს გადარჩენის გზებს. ახლახანს პრესაში გაჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ გუნდს მალე ახალი ბრაზილიელი ლეგიონერი შეემატება — ემერსონის ბიძაშვილი **ფაბიო**. იგი შარშან შემოდგომით ჩამოსულა ბოროში ემერსონის მოსანახულებლად, იქ ერთი-ორჯერ უვარჯიშია მასთან ერთად. შემთხვევით ამ ვარჯიშს მენეჯერი ბრაიან რობსონი დასწრებია, მოსწონებია და კლუბში ჩაურიცხავს. ახლა კი დღე-დღეზე კონტრაქტსაც გააფორმებენ. ფაბიოს პორტუგალიური პასპორტი აქვს და კახი ცხადაძისაგან განსხვავებით ინგლისში მუშაობის უფლების მიღება არ სჭირდება (პორტუგალია ევროკავშირში შედის).

ჯემალ ჯიპაშვილი

თუ ნამუსზე ხელი აიღე და კახელები მოთმინებიდან გამოიყვანე...

„ჭაბუკიანი", „ნაფარეული", „ვაზისუბანი", „ვარდისუბანი", „მუხრანი", „ჩელა", „მამული", „ოჯალეში", „თუთარჩელა" და კიდევ ვინ მოთვლის რამდენ სოფლის საფეხბურთო გუნდს უასპარეზია საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში. გავიდა წლები, ცხოვრების რეალიებმა თითქოსდა სოფლად ძლიერი საფეხბურთო კოლექტივების შექმნის უპერსპექტივობა დაგვანახვა. რაც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დაიშალა, გუნდები უსპონსოროდ დარჩნენ. ამიტომ, თანდათანობით, მათ ფუნქციონირება შეწყვიტეს, ერთის გარდა.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ჭაბუკიანის გუნდმა მედგრად გაუძლო ეკონომიკურ სიძნელეებს და, ყველას გასაკვირად, ძირითადად თანასოფლელთა შემწეობით, ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფში ასპარეზობას განაგრძობს.

ჩვენი ნაცნობობა ჭაბუკიანელებთან უცნაურად დაიწყო. 7 წლის წინათ რედაქციის თანამშრომელი ფეხბურთის ფედერაციამ კალენდარულ მატჩზე ინსპექტორად (კომისრად) დანიშნა. ერთმანეთს ჯგუფის ლიდერები – თბილისის „არმაზისა" და „ჭაბუკიანის" კოლექტივები ეპაექრებოდნენ. თურმე, კახელთა საქომაგოდ დიდიან-პატარიანად მთელი სოფელი ჩამოსულიყო. და დახეთ საკვირველებას, გულშემატკივრებში ქალები სჭარბობდნენ. პირდაპირ გეტყვით, მსაჯი აშკარად თბილისელებს ემხრობოდა. ბოლოს, კახელმა მაყურებლებმა ითმინეს, ითმინეს და... მინდორზე გამოვარდნენ და მსაჯს დაედევნენ. მართალია, საბრალოს (ისე, ახია კი იყო!) ერთი-ორი მუჯლუგუნი მოხვდა, მაგრამ გასახდელში შევარდა და კარის ჩაკეტვა მაინც მოასწრო... რის ვაი-ვაგლახით მოხერხდა წყობილებიდან გამოსული გულშემატკივრების დამშვიდება. მატჩის კომისარი მაშინ შეპირდა ხალხს – სამართალი პურსა სჭამს, მსაჯსაც ფეხბურთისაგან ჩამოაშორებენო. ასეც მოხდა. კომისარმა, იმავდროულად „ლელოს" თანამშრომელმა, ყველაფერი იღონა, რათა ჭეშმარიტებას ეზეიმა. მას შემდეგ ჭაბუკიანელებთან დიდი მეგობრობა გვაკავშირებს, მუდამ გულთან ახლოს მიგვაქვს მათი გუნდის, ვიმეორებთ, ჩემპიონატში მოასპარეზე ერთადერთი სოფლის გუნდის პრობლემები და შეძლებისდაგვარად ვეხმარებით.

ვესაუბრებით „ჭაბუკიანის" ახალგაზრდა ნიჭიერ მწვრთნელს რობერტ ბერუაშვილს.

● *მოგვიყევით თქვენს შესახებ.*

— დავამთავრე „შევარდენის" საფეხბურთო სკოლა. ჩემი პირველი მწვრთნელები იყვნენ აწ გარდაცვლილი დუკა რამიშვილი და კარლო ყრუაშვილი. ვთამაშობდი თბილისის „შევარდენში", „სპარტაკში", ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდში, ლაგოდეხის „ჰერეთში".

● *როგორ აღმოჩნდით „ჭაბუკიანში"?*

— ფეხბურთის თამაშს თავი რომ დავანებე, სათავეში ჩავუდექი ვარდისუბნის გუნდს. ორი წლის შემდეგ გავხდი ლაგოდეხის „ჰერეთის" მწვრთნელი, ხოლო 1990 წლიდან დღემდე ვარ „ჭაბუკიანში".

● *ვინ პატრონობს გუნდს?*

— „ჭაბუკიანი" ჩამოყალიბდა მისი პირველი პრეზიდენტის ვახტანგ თაბუკაშვილის თაოსნობით. 1993 წლიდან კლუბის პრეზიდენტი იყო აკაკი კაპანაძე, რომელმაც ასევე დიდი წვლილი შეიტანა გუნდის ჩამოყალიბებაში. დღეს, გუნდს არც სპონსორი და არც პრეზიდენტი ჰყავს. საქართველოში „ჭაბუკიანი" ერთადერთი სოფლის გუნდია, რომელიც დაშლას გადაურჩა.

● *წელს გუნდი წარუმატებლად გამოდის, რა გიშლით ხელს?*

— თითქმის ყოველ წელს გუნდს ტოვებს 2-3 ფეხბურთელი. მათი სრულფასოვანი შეცვლა ძნელია, რადგანაც მთლიანად ადგილობრივი ფეხბურთელებით ვართ დაკომპლექტებული. მაგალითად, ერთი წლის წინ გუნდი დატოვა ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ლევან ქებაძემ, რომელიც ზესტაფონის „მარგვეთში" გადავიდა. მას მამუკა ტალახაძეც მიჰყვა.

● *რა ცვლილებებია მეორე წრის დაწყების წინ?*

— ერთი კვირის წინ „სიონმა" თავის გუნდში გადაიყვანა მცველი გიორგი მეტრეველი. ასპარეზობას გავაგრძელებთ ადგილობრივი ფეხბურთელებით. ისინი 17-19 წლის პერსპექტიული ყმაწვილები არიან. მჯერა, მოკლე ხანში მრავალ მათგანს საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებ გუნდებში იხილავთ. ამისათვის დიდი შრომაა საჭირო. მეც ძალღონეს არ დავიშურებ. მჯერა, „ჭაბუკიანი" კვლავ ფენიქსივით აღსდგება და არაერთხელ გაახარებს თანასოფლელებს.

ესაუბრა
ირაკლი შენგელია

ევროპის სუპერთასიც — „იუვეს"!

მას შემდეგ, რაც „იუვენტუსმა" „პარი სენ-ჟერმენს" გასვლით მატჩში სტუმრად 6-1 მოუგო, სუპერთასის მეპატრონე ფაქტიურად გარკვეული იყო და, მიუხედავად ამისა, პალერმოში გამართულ განმეორებით მატჩში მაყურებლებმა კვლავ ლამაზი სანახაობა იხილეს.

„იუვენტუსი": პერუცი, ფერარა, ტორიჩელი (პორინი), მონტერო, პესოტო, დი ლივიო, ზიდანი, ტაკინარდი (ლომბარდო), იუგოვიჩი, პადოვანო (ვიეირა), დელ პიერო

პსჟ: ლამა, ალჟერინო, დომი, ლეგენი, კენედი, გერენი (ლე რუა), კუე, ლეონარდო (ალუ), რაი, ლოკო, დელი ვალდესი.

გოლები: 1-0 დელ პიერო (36), 1-1 რაი (65, პენ.), 2-1 დელ. პიერო (71), 3-1 ვიეირა (89).

მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები თავგამოდებით იბრძოდნენ შელახული ავტორიტეტის გამოსასწორებლად, კლასმა მაინც თქვა გადამწყვეტი სიტყვა. კვლავ შეუდარებელი იყო დელ პიერო. საქმე მარტო ის არ არის, რომ მან ორი გოლი გაიტანა. ყოველი მისი მოძრაობა, პასი, „საფირმო დარტყმები" განუმეორებელ სიამოვნებას ანიჭებს გულშემატკივრებს.

მაშ ასე, ორი მატჩის ჯამში „იუვემ" პარიზული კლუბი გაანადგურა საერთო ანგარიშით 9-2!

წარმოიდგინეთ როგორი იქნებოდა ამ შეხვედრის შედეგი „იუვეს" მთავარ დამრტყმელ ძალას — ალან ბოკშიჩს, რომ ეთამაშა.

მიირთვით ლუდი „სპარტაკი"!

ქ. სარანსკის ლუდის კომპანიამ გამოუშვა ახალი მარკა, რომელსაც „სპარტაკი" დაარქვა. ლუდს ისედაც ბევრი მოყვარული ჰყავს, ახლა კი პოპულარული კლუბის სახელის დარქმევამ მომხმარებელთა რაოდენობა კიდევ უნდა გაზარდოს. ერთი ბოთლი 2500 რუბლი ღირს, მას ახატია მოსკოვის „სპარტაკის" დიდი მოამაგის ნიკოლაი სტაროსტინის სურათი და აქვეა კლუბის ლოზუნგი, რომელიც ასე უყვართ მის ქომაგებს: „ქვეყანაში ჯერაც არ არის „სპარტაკზე" უკეთესი გუნდი".

გერმანიასა და ინგლისს შორის კონფლიქტის ახალი ერა დაიწყო

2006 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი გერმანელებმა ჯერ კიდევ 1993 წელს – ლას ვეგასის ფიფას კონგრესზე გამოთქვეს. ფიფა და უეფაც მოწონებით შეხვდა გერმანელთა წადილს. მაგრამ ამ დღეებში ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასაც მოუნდა იგივე და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გერმანია-ინგლისი კვლავ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდებ ერთმანეთს, თანაც ინგლისელებმა უეფადან უკვე მიიღეს ფაქსი, რითაც მათ ეცნობათ, რომ ევროპიდან მსოფლიოს 2006 წლის მასპინძლობის ერთადერთი კანდიდატი გერმანიაა, რადგან ალბიონელებმა, ცოტა არ იყოს, დააგვიანეს თავიანთი სურვილის გამოთქმა. ინგლისელები ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებენ და საქმეში თვით ბრიტანეთის პრემიერმინისტრი ჯონ მეიჯორიც ჩაერია, რომელმაც უეფას გადაწყვეტილების გადასინჯვა ურჩია უეფას. ინგლისელთა გაცხოველებული ლტოლვა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისათვის იმით აიხსნება, რომ 2006 წელს 40 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ინგლისმა 1966 წელს, „საკუთარ კედლებში" პირველად და ჯერჯერობით ერთადერთხელ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა. მათი აზრით, ფეხბურთის სამშობლო ღირსია იმის, რომ ამ საიუბილეო თარიღის გამოძახილი მათ მიერ მსოფლიოს ჩემპიონატის მეორედ მასპინძლობა იყოს. ალბიონელთა მასხელია კვლავ ანტიგერმანულმა კომპანიამ მოიცვა. გერმანელები კი იქადიან, რომ აველანჟმა და იუჰანსონმა უკვე სიტყვიერი თანხმობა მოგვცეს და ინგლისელები ვერას გახდებიანო.

ასე რომ, საფეხბურთო ევროპა თავისებური „ცივი ომის" მოლოდინშია.

დათო თავართქილაძე

შეხვედრის ადგილი – ქ. სოჭი, 24-27 აპრილი

რუსული ფეხბურთის 100-წლიან იუბილესთან დაკავშირებით „კომსომოლსკაია პრავდა" და რუსეთის ფეხბურთის კავშირი 24-27 აპრილს ქ. სოჭში აწყობენ დიდ საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც მონაწილეობისათვის იწვევენ დსთ-ს ქვეყნების მთავრობებისა და პარლამენტების ნაკრებ გუნდებს. მათთან ერთად მიიწვევენ ცალკეული ქალაქების მერიებს, მთავრობებს, მსხვილ კომპანიებს, ფირმებსა და ბანკებს.

ეს იქნება შეჯიბრება მინი ფეხბურთში მინდვრის 5 მოთამაშისა და მეკარის მონაწილეობით. თითოეულ განაცხადში 10 ფეხბურთელს შეიყვანენ.

სამი კანდიდატურა საკის ნაცვლად

ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც არიგო საკი „მილანში" მივიდა, მაგრამ არავითარი წარმატება არა აქვს. გუნდი სატურნირო ცხრილში იმაზე დაბლაც კი დაეშვა, ვიდრე ოსკარ ტაბარესის ხელში იყო. ყოველივე ამას თვით საკიც აღიარებს: „ახლანდელი გუნდი არაფრით განსხვავდება იმისაგან, მე რომ დამხვდა".

ახლა, როგორც მიმომხილველები ფიქრობენ, საკის სეზონის ბოლომდე კი აცლიან, მაგრამ შემდეგ გუნდის დატოვება მოუხდება. ახლა კლუბის პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი მის ნაცვლად სამ კანდიდატურაზე ფიქრობს: სვენ-იორან ერიკსონზე, თუკი მის კონტრაქტს „ბლექბერნისაგან" გამოისყიდის, ლუის ვან გაალზე, რომელიც სტოვებს „აიაქსს" და იოჰან კრუიფზე, რომელიც კარგა ხანია არსად მუშაობს.

როგორ შლიდნენ მატჩს... ფუტკრები

ჰარარეში (ზიმბაბვე) აფრიკის თასის მატჩი მიმდინარეობდა ზიმბაბვესა და განას ნაკრებებს შორის. ანგარიში არ გახსნილა – ზიმბაბველთა მეკარე ცნობილი ბრიუს გრობელაარი მშვენივრად თამაშობდა და იგერიებდა განელთა კაპიტნის, კიდევ უფრო ცნობილი აბედი პელეს სახიფათო დარტყმებს. პირველი ტაიმის მიწურულს პირდაპირ წარმოუდგენელი რამ მოხდა: სტადიონზე უამრავი ფუტკარი შემოიჭრა და დაკბენისაგან რომ თავი ეხსნათ, ფეხბურთელებმა სახეზე მაისურები გადაიფარეს და მინდვრიდან გაიქცნენ.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ძალისმიერი მეთოდებით" ფუტკრები განდევნეს, თამაში გაგრძელდა და ფრედ 0-0 დამთავრდა.

ჟირინოვსკი: „პავდგები და პელეს მოვიწვევ"

მოხდა ისე, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრებმა ფეხბურთისათვისაც მოიცალეს. სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებმა გუნდები ჩამოაყალიბეს და ტურნირში შეხვდნენ ერთმანეთს.

ფრაქცია „რუსეთი ჩვენი სახლია"-ს გუნდმა ყველა მეტოქე დაამარცხა, მათ შორის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის გუნდიც, სადაც პარტიის თავმჯდომარე ვლადიმერ ჟირინოვსკიც თამაშობდა. იგი უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ გუნდები გარეშე პირებით იყვნენ გაძლიერებული. „რახან ასეა, დამაცადეთ, გაისად პელეს მოვიწვევთ".

რენე იგიტა და მისი „ახალი სტილი"

ახლა, როცა კოლუმბიის ნაკრები ლიდერობს მსოფლიო პირველობის სამხრეთამერიკულ შესარჩევ ჯგუფში და ფინალის საგზური ფაქტობრივად ჯიბეში აქვს, ჟურნალისტები, ცხადია, მის ფეხბურთელებთან შეხვედრას ლამობენ. აი, რამდენიმე ნაწყვეტი განთქმულ კოლუმბიელ მეკარე რენე იგიტას ერთ-ერთი ინტერვიუდან.

— კოლუმბიური ფეხბურთი ძალიან კარგ დონეზე გავიდა და ახლა უნდა შეინარჩუნოს ეს სიმაღლეები — ამბობს იგიტა.

— მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის წინ, კოლუმბიის ნაკრებს, ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად მიიჩნევდნენ...

— იგიტა: ვინ მიიჩნევდა?

— პრესა, გულშემატკივრები, მოთამაშეები.

— კოლუმბიელებს არასოდეს უთქვამთ, რომ მსოფლიო ჩემპიონობას მოიპოვებდნენ. იმედის გაცრუებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა რაღაცას აღწევ. შემდეგ მას კარგავ და უკან დახევა გიხდება. ჩვენ კი ბევრი უნდა ვიმუშაოთ და გვახსოვდეს, რომ არც თუ ცოტა წამყვან ნაკრებს, ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით. თუ ჩვენს ძალებს რეალურად შევაფასებთ, ეს ბევრ პრობლემას მოგვიხსნის. ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ გულშემატკივრებს ადრე ასეთი ილუზიები ჰქონდათ? როცა ეს ილუზიები გაიფანტა, „განტევების ვაცებად" მოთამაშეები ჩათვალეს.

— შეიძლება ითქვას, რომ კოლუმბიელებმა უკვე გადაიტანეს მსოფლიოს წინა ჩემპიონატში ჩავარდნა?

— ჩავარდნა აქ შესაფერისი სიტყვა არ გახლავთ. ჩვენ არასდროს არაფერი მოგვიგია და ამიტომ ჩავარდნაზეც ნუ ვილაპარაკებთ. მაგრამ თუ უკანასკნელი წლების შედეგებს გადავხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი გუნდები ურიგოდ როდი თამაშობენ და მსოფლიოშიც კარგი სახელი აქვთ.

— დღევანდელი მეკარეებიდან რომლები მიგაჩნიათ საუკეთესოდ?

— კარგი მეკარე ბევრია. ჩილავერტი, მონტოია, გოიკოეჩეა, ზენგი. მაგრამ მომავლის მეკარე მაინც კამპოსია (მექსიკა). იგი ჩემნაირი მანერით მოქმედებს, მას არა თუ ეშინია შეტევაში ჩართვისა, არამედ, გოლებიც კი გააქვს.

— ფეხბურთელებს, ცხადია, ეშინიათ, შეცდომა არ მოუვიდეთ, თქვენც გაქვთ შიშის გრძნობა?

— მაქვს, შეიძლება სხვებზე მეტიც კი. მეკარე ყოველთვის დაძაბულ სიტუაციაში იმყოფება. მინდვრის მოთამაშეს აქვს ამ დაძაბულობიდან განტვირთვის საშუალება, მეკარეს კი არა. ძალიან ხშირად კარს იმიტომ ვტოვებ და წინ მივდივარ, რომ არ მინდა ამ შიშის ტყვე ვიყო. მინდა დავუმტკიცო გულშემატკივრებს, რომ მეკარეს შეუძლია ისე ითამაშოს, როგორსაც ისინი შეჩვეული არ არიან, რომ არსებობს თამაშის სხვა სტილიც. ხანდახან კარიდან ისე შორს იმიტომ გამოვდივარ, რომ ამას, ჩემი აზრით, სათანადო სიტუაცია მიკარნახებს. რა თქმა უნდა, შეიძლება შეცდომაც მომივიდეს, რისგანაც, ცხადია, არავინაა დაზღვეული. ეს შეიძლება მაშინაც მომსვლოდა, როცა კარიდან არც კი გამოვედი. უბედურება სხვა რამეშია: სანამ კარს კარგად იცავ, სანამ გუნდს იხსნი, თვლიან, რომ ყველაფერი წესრიგშია. საკმარისია, შეცდომა მოგივიდეს, შენზე უარესი უკვე აღარავინაა, არც ვარჯიშობ, არც რეჟიმს იცავ, საეჭვო ხალხთანაც გაქვს ურთიერთობა. ის, ვინც ასე ლაპარაკობს, ერთ რამეს ივიწყებს — ეს იყო კონკრეტული შეცდომა კონკრეტულ მატჩში, კონკრეტულ სათამაშო სიტუაციაში.

დინამოელთა სამგზის მთავარსარდალი

მიხეილ იაკუშინის გარდაცვალების გამო

მეათე სართულზე ლიფტით ავედი. ზარის ღილაკს დავაჭირე თითი და მეორე წუთს კარი მომღიმარე მიხაილ იაკუშინმა გამიღო. ლურჯი სპორტული კოსტუმი ეცვა. შინ შემიპატიჟა. მიბრუნდა თუ არა ოთახისაკენ, ზურგზე უზარმაზარი თეთრი ასოებით დაწერილი სიტყვები — „დინამო“ თბილისი — ამოვიკითხე. გამოგიტყდებით, ძალიან მესიამოვნა. იმ დღის შემდეგ (ეს 1982 წლის 28 ივლისს იყო), რაც „ცბიერმა მიხეიმ“ ჩვენი გუნდი დატოვა, შვიდი წელიწადი იყო გასული. აი, ძველი სიყვარული ქართული ფეხბურთისადმი, ჩანს, აქამდე შერჩენოდა...

სამუშაო ოთახის ფანჯრიდან ლენინგრადის პროსპექტი და „დინამოს“ სტადიონი ჩანდა თავისი უზარმაზარი ანძა-პროჟექტორებით. მ. იაკუშინის მშობლიური სტადიონის პანორამა გადაჭიმულიყო მის საწერ მაგიდის თავზე მოთავსებულ ფოტოსურათზეც. იქვე ეკიდა მეტოქეთა გუნდების ნაირფერი ვიმპელები, თვალი მოვკარი კუთხეში დადებულ ორ თუ სამ ბურთს, მაგიდაზე „სოვეტსკი სპორტისა“ და „ფუტბოლის“ კომპლექტები ეწყო.

... ბევრი ვისაუბრეთ იმ საღამოს. მასპინძელმა მაცივრიდან გამოღებული გრილი ბურახი შემოგვთავაზა: „Я **сам сварил этот хлебный квас!**“ მე კი თბილისიდან ნიგვზით ამოკმაზული ლობიო, სოფლის ტყემალი და ორიოდე ბოთლი „ხვანჭკარა“ მქონდა წამოღებული. ძალიან ესიამოვნა, ქართულ ტყემალს არაფერი სჯობსო. მრავალი რამ გაიხსენა სიამოვნებით:

— ქართველ ფეხბურთელებს პირველად 1931 წელს შევხვდი, როდესაც ჯერ კიდევ „სოვტორგსლუჟაშჩიეს“ გუნდში ვთამაშობდი, მერე რომ „ბურევესტნიკად“ გადაკეთდა. მაშინ თბილისში ვითამაშეთ, მომდევნო წლის გაზაფხულზე კი თბილისის გარდა ქუთაისსა და ბათუმსაც ვეწვიეთ. „დინამოს“ ძველ სტადიონზე გამოვდიოდით, პლეხანოვზე რომ იყო. იმ თქვენს სტადიონს მიწის მოედანი ჰქონდა, მაგრამ დიდებული ფეხბურთელები თამაშობდნენ აქ — ანდრო ჟორდანია და ნიკოლაი სოლონინი, ანდრო ფოჩხუა და მიხაილ მინაევი, შოთა შავგულიძე და ნიკოლაი სომოვი, მიხაილ ასლამაზოვი, ნიკოლაი ანიკინი, ლევან აბაშიძე... ჯერ თქვენი „დინამოს“ მეორე გუნდს, ეგრეთწოდებულ „დინამო“ — „ბ“-ს შევხვდით და გავიმარჯვეთ 3-0, მერე „დინამო“ — „ა“— სთან წავაგეთ 0-5. სულხან-საბას ქუჩაზე ვცხოვრობდით, ძველ ტურბაზაში. თბილისიდან ქუთაისს გავემგზავრეთ ახალი სტადიონის გახსნაზე, რომელსაც არავითარი ტრიბუნები არ ჰქონდა. 2-0 ვუგებდით ადგილობრივ დინამოელებს, მაგრამ მასპინძლებმა ზედიზედ ორი პენალტი გაგვიტანეს და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 2-2. ქუთაისიდან ბათუმს ვეწვიეთ. აჭარაში ცუდი ამინდი იდგა, წვიმდა, ხალხიც ცოტა მოვიდა სტადიონზე. 2-1 გავიმარჯვეთ და თბომავალ „ურანათი“ სოჭისაკენ გავწიეთ. იმხანად შავი ზღვის სანაპიროზე მატარებლები ჯერ არ დადიოდნენ, ასე რომ იქ.. ბაქოს გავლით ჩავედით. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი ფეხბურთელების შესახებ მე მანამდეც ბევრი სასიკეთო მქონდა გაგონილი ძველი მოსკოველი დინამოელებისაგან, რომლებმაც ჯერ კიდევ 1925 წელს ჩაატარეს პირველი ამხანაგური მატჩები ტფილისში. ისინი მოსკოვში გაზაფხულზე თქვენგან მზიასაგან საკმაოდ გარუჯულნი დაბრუნდნენ. 1933 წელს მოსკოვის „დინამოში“ ამიყვანეს და ამის შემდეგ უკვე რეგულარულად ჩამოვდიოდი თბილისში, მეტწილად გაზაფხულობით. ბევრჯერ გვითამაშია იმხანად თქვენს „დინამოსთან“, რომელშიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცენტრალური ნახევარმცველი ანდრო ჟორდანია — ტექნიკური, გონიერი, „რბილი“ მოთამაშე. მაშინ ფეხბურთს ბევრი მაყურებელი არ ესწრებოდა, მაგრამ ვინც მოდიოდა სტადიონზე, ნამდვილი ენთუზიასტი იყო და მთელი სულითა და გულით უჭერდა მხარს თავიანთ გუნდს. თუმცა ჩვენში იმ დროს პროფესიონალები არ არსებობდნენ, მაგრამ აი, საქმისადმი ნამდვილი პროფესიონალური დამოკიდებულება იყო. გამოგიტყდებით, დიდად გაგვიკვირდა ყველას, როდესაც თბილისის „დინამო“ პირველ საკავშირო გათამაშებაში „ბ“ ჯგუფში ჩართეს და არა „ა“ — ში. თითქოს ამის საპასუხოდ ქართველმა ფეხბურთელებმა უკვე 1936 წლის შემოდგომაზე, რიგით მეორე ჩემპიონატზე, საპატიო მესამე ადგილი მოიპოვეს და თასის პირველი გათამაშების ფინალშიც გავიდნენ. დაწყებული იმ სეზონიდან, ჩვენი გუნდი საქართველოში წელიწადში ორჯერ მაინც ჩამოდიოდა — გაზაფხულობით, შავი ზღვის სანაპიროზე (მეტწილად გაგრაში) ჩემპიონატისათვის მოსამზადებელი შეკრების ჩასატარებლად და გათამაშების კალენდარული მატჩის გასამართავად. თბილისელთა გუნდში ჩემს წინააღმდეგ უმეტესად მარცხენა ნახევარმცველი გვაჩი ჯორბენაძე თამაშობდა. სწრაფი, ტექნიკური ფეხბურთელი იყო. მშვენივრად ფლობდა „მაკრატელას“, ცდილობდა მუდამ მჭიდროდ „ავეყვანე“ მინდორზე. საერთოდ თქვენს „დინამოში“ პირველსავე თაობიდან ძალზე ნიჭიერი ფეხბურთელები თამაშობდნენ: ალექსანდრ დოროხოვი, შოთა შავგულიძე, ედუარდ ნიკოლაიშვილი, მიხეილ ბერძენიშვილი, თენგიზ გაგაშელი, ბორის პაიჭაძე... აკი, როდესაც სახელგანთქმულ ბასკებთან მატჩისათვის „დინამოს“ საკავშირო ნაკრები შეიქმნა, მასში სხვებთან ერთად ორი თბილისელი ფეხბურთელიც შეიყვანეს — შავგულიძე და დოროხოვი. მოგვიანებით, როდესაც თქვენი გუნდის მწვრთნელი გავხდი, თბილისის „დინამოში“ ასეთივე ნიჭიერი თაობა მოვიდა — ავთანდილ ღოღობერიძე, ავთანდილ ჭკუასელი, მიშა ჯოჯუა, ვოვა მარღანია, ნიაზ ძიაპშიპა, იბრაგიმ სარჯველაძე, ვოვა ელოშვილი, რეზო მახარაძე, კარლო გაგნიძე, კაკო თოდრია. კარგი ბიჭები იყვნენ, მუდამ იცავდნენ რეჟიმს, გულმოდგინედ ვარჯიშობდნენ და მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან. 1951 წელს თბილისელ დინამოელებთან პოლონეთში ვიყავი ამხანაგურ ტურნეში. როგორც ცნობილია, სამი მატჩი ჩავატარეთ: მოვიგეთ „გურნიკს“ (4-0), ცვეს-ს (2-0), „გვარდიას“ (3-0), ხოლო ქვეყნის თასის მფლობელ „უნიასთან“ ფრედ (1-1) ვითამაშეთ. უნდა გენახათ პოლონელთა განცვიფრება, როდესაც ქართველმა ფეხბურთელებმა უჩვენეს, რომ ფეხბურთის გარდა, სიმღერაც კარგი იციან, ცეკვაც და, წარმოიდგინეთ, მხატვრული სტვენაც. ჯოჯუამ, გაგნიძემ, ჯავახაძემ, ანთაძემ, რუსაძემ, ღოღობერიძემ პირდაპირ გადარიეს მასპინძლები — ადგილობრივი ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზში შეკრებილნი. არანაკლები სიამოვნება მიელე თბილისის „დინამოსთან“ მეორედ მუშაობის პერიოდში. ამ დროსაც დიდებული ფეხბურთელები იყვნენ თქვენს გუნდში — შოთა იამანიძე, მიშა მესხი (მასთან მე სულ „ვჭიდაობდი“ თამაშის მანერის გამო), სლავა მეტრეველი, სიომა ბარქაია (თამაშობდა მრავალფეროვნად, შემოქმედებითად, მე ვიტყოდი, ცბიერად, და დარტყმაც საუკეთესო ჰქონდა). ორიოდე სიტყვა ქართველ გულშემატკივრებზეც. თქვენთან ძალიან უყვართ ფეხბურთი, სტადიონზე მოდისათვის კი არ დადიან, არამედ სულითა და გულით. საკმაოდ მაგრად განიცდიან მშობლიური გუნდის თამაშს, მაგრამ ამასთან მუდამ ობიექტურნი არიან, აფასებენ მეტოქის კარგ ფეხბურთს. სამწუხაროდ, ბოლოს მე არ მომიწია დინამოელთა სტადიონზე მუშაობა, აი, „ლოკომოტივის“ მინდორი კი ბევრად უარესი გახლდათ. ამის გამო, როგორც იცით, ერთხელ უსიამოვნებაც მომივიდა თქვენი სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობასთან. დღეს კი თბილისში მშვენიერი, განახლებული სტადიონი გაქვთ — ერთნაირად მოსახერხებელი ფეხბურთელებისათვისაც და მაყურებელთათვის. ვუსურვებ თქვენს ოსტატებს მუდამ მაღალი კლასი ეჩვენებინოთ მის მწვანე ბალახზე და, ცხადია, სხვა სტადიონებზეც. კარგ ტრადიციებს კარგი გაგრძელება უნდა. მთავარია, ძველი მიღწევებით არ დავკმაყოფილდეთ და ახალი გამარჯვებები მოვიპოვოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძნელია დაპყრობილ მწვერვალზე დგომა. თუ მოეში ან თავბრუ დაგეხვა, ილოდე, აუცილებლად ჩამოვარდები სანატრელი საფეხბურთო ოლიმპოდან.

... 15 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს საუბარი შედგა. მერეც რამდენჯერმე ვყოფილვარ მ. იაკუშინთან. გამოგიტყდებით, განსაკუთრებით მემაყებოდა მასთან ნაცნობობა, თუ გნებავთ, მეგობრობა, რამდენჯერმე თბილისშიც დამირეკა, ჩვენი „დინამოს“ ჩემპიონობა და თასის მოპოვება მომილოცა. ერთ-ერთ ახალ წელს საჩუქრად თავისი ცნობილი მემუარული წიგნი „ფეხბურთის მარადიული საიდუმლო“ და მშვენიერი საიუბილეო ალბომი „დინამოს“ 50 წელი“ გამომიგზავნა გულთბილი წარწერით. ალბომის 147-ე გვერდზე 14 თუ 15 წლის მიშა იაკუშინიცაა გადაღებული სიმაღლეზე მხტომელთა შორის დინამოელთა პირველ სპორტულ მოედანზე ორლოვო-დავიდოვის შესახვევში.

წერილში თავაზიან მადლობას მიხდიდა მისი საგაზეთო ვარიანტის წაკითხვისას გამოთქმული შენიშვნებისა და რაღაც დეტალების დაზუსტების გამო. იქვე დასძენდა, რომ წიგნის 120 ეგზემპლარიდან თითქმის არაფერი შემორჩა, მაგრამ შენ ბორის პაიჭაძესთან ერთად თავიდანვე „ჯავშანში“ მყვდიო. ეს ჩემთვის დიდად საამაყო იყო და მისი საჩუქარი ერთ-ერთ ყველაზე საპატიო ადგილზეა მოთავსებული ჩემს საშინაო ბიბლიოთეკაში. სამწუხაროდ, „დიდმა მიხამ“ (ასე ეძახდნენ მას მოფერებით თბილისელი დინამოელები) ვერ მოასწრო თავისი მეორე წიგნის — „ფეხბურთი ცხოვრების სარკეში“ (იგი ბორის ცირიკთან ერთად დაწერა) — გამოგზავნა.

დღეს უკვე აღარ მახსოვს, როდის გავიცანი მიხაილ იაკუშინი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ პირველსავე შეხვედრაზე ვაჩვენე 1937 წელს მოსკოვის სტადიონზე გადაღებული ფოტო, რომელზეც ბასკთა მეკარე გრეგორიო ბლასკო ფეხიდან ართმევდა ბურთს თითქმის ჰორიზონტალურად გაწოლილ მიხაილ იაკუშინს. მერე ის კურიოზული მომენტიც შევახსენე, როდესაც მისი ძლიერად დარტყმული ბურთი საკმაო მანძილით აცდა კარს, თამაშის ანგარიშის აღმნიშვნელ ფარს მოხვდა და „ექვსიანი“ იქვე „შვიდიანზე“ შემოატრიალა. შევატყვე, ესიამოვნა! 1945 წლის იმ გახმაურებულ ტურნეზე დიდი ბრიტანეთის სტადიონებზე ხომ მთელი საათი ვისაუბრეთ. გულწრფელად სიამოვნებდა გახსენებანი გარდასულ დღეთა...



მ. იაკუშინი თბილისის დინამოელებთან (გიგლა ფირცხალავას შარჟი)

რას არ უწოდებდნენ გულშემატკივრები და ჟურნალისტები მიხაილ იაკუშინს: „ფეხბურთის პროფესორს“, „უდიდეს კომბინატორს“, „ცბიერ მიხეის“, „დინამოელთა იერიშების დირიჟორს“, „თავდასხმის გროსმეისტერს“, „მწვანე მინდვრის მთავარსარდალს“... მწვრთნელებს შორის ხომ ნამდვილი რეკორდსმენი იყო — მოსკოვის „დინამო“ მ. იაკუშინის ხელში ექვსჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ამდენივეჯერ ვერცხლის მედლები მოიპოვა და ერთხელაც ბროლის საპატიო თასს დაეუფლა. გარდა ამისა, მ. იაკუშინი თავად იყო ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი ფეხბურთში (პირველად მოსკოვის ნაკრების შემადგენლობაში 1935 წელს, მერე კი სამჯერ — დინამოელთა გუნდთან ერთად) და თითოჯერ — ბურთიან და შაიბიან ჰოკეიში. 1937 წელს მ. იაკუშინი სსრ კავშირის თასის მფლობელი გახდა, წლების მანძიზე შედიოდა 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში, მეტწილად პირველ ნომრად, ხოლო 1940 წელს გაზეთ „კრასნი სპორტის“ მკითხველთა რეფერენდუმის შედეგად იგი შეიყვანეს ქვეყნის 10 საუკეთესო სპორტსმენთა სიაში გრიგოლ ფედოტოვთან, გაიოზ ჯეჯელავასთან და სხვებთან. წლების მანძილზე იგი შედიოდა მოსკოვისა და სსრ კავშირის (7 წლის განმავლობაში) ნაკრებ გუნდებში, მოსკოვის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში 11 წლის განმავლობაში იერიშების მთავარი ორგანიზატორისა და გუნდის დისპეტჩერის სახელი დაიმსახურა. მ. იაკუშინი იყო დასავლეთის პროფესიონალ ფეხბურთელებთან პირველი მატჩების მონაწილე. სწორედ მან გაიტანა მესამე, გადამწყვეტი გოლი ჩეხოსლოვაკიის „ჟიდენიცეს“ კარში, ალტაცებაში მოიყვანა პარიზის პრესა „რესინგთან“ მატჩის შემდეგ. საინტერესოა, რომ ბასკთა კაპიტანი — სახელგანთქმული ლუის რეგეირო თავის ერთ-ერთ ინტერვიუში საბჭოთა ფეხბურთელებიდან მ. იაკუშინს გამოჰყოფდა. ამ შეუდარებელი მარჯვენა შუამარბის (ინსაიდის) კომბინაციური ტალანტი, ტაქტიკური სვლების მრავალფეროვნება სტადიონების პირთამდე სავსე ტრიბუნების აღფრთოვანებას იწვევდა. სწორედ მ. იაკუშინი იყო ეგრეთწოდებული „ორგანიზებული არეულობის“ სულისჩამდგმელი, რომელიც მისმა გუნდმა ჯერ კიდევ 1940 წლის სეზონში გამოიყენა, მერე, როდესაც იგი მწვრთნელი გახდა, შეიმუშავა და პრაქტიკაში დანერგა მთელი რიგი ტაქტიკური სიახლენი. ეს იყო პირველ რიგში საფეხბურთო სქემა 4-2-4, რომელიც ... 10 წლის შემდეგ გამოიყენეს მსოფლიო ჩემპიონებმა და რომელიც ფეხბურთის ისტორიაში „ბრაზილიური სისტემის“ სახელით შევიდა. არადა, უკვე ამ დიდებული მწვრთნელის ხელში ყავდა მოსკოვის „დინამოს“ დაცვის ორი სტოპერი — მიხაილ სემიჩასტნი და ლეონიდ სოლოვიოვი, ხოლო თავდასხმის ხუთეულიდან ალექსანდრ მალიავკინი ნახევარდაცვის ხაზში იქნა დახეული ვსევოლოდ ბლინკოვის მეწყვილედ. რაც შეეხება თავდასხმას, მასში პირველად თამაშობდა ორი ცენტრი — კონსტანტინ ბესკოვი და ვასილ კარცევი. განა მ. იაკუშინმა არ შექმნა მოსკოვის დინამოელთაგან მშვენიერი საფეხბურთო ანსამბლი, რომელიც ხშირად ამარცხებდა ბორის არკადიევის სახელგანთქმულ ცდკა-ს მათ გაუთავებელ სპორტულ პაექრობაში ომისშემდგომ წლებში. მოგეხსენებათ, განსაკუთრებით კარგად თამაშობდა მ. იაკუშინის გუნდი მეორე ტაიმში, როდესაც მწვრთნელი ფეხბურთელებს ზუსტად მიუთითებდა პირველი ნახევრის შეცდომებს და დიდებულად განსაზღვრავდა მეორე ნახევრის ტაქტიკურ გეგმას. „ეს ევროპის საუკეთესო გუნდია!“ — წერდა სახელგანთქმული ლონდონის „ჩელსის“ კაპიტანი ჯონ გარისი მიხაილ იაკუშინის „დინამოზე“ 1945 წლის ნოემბერში. მშვენიერი გუნდი შექმნა მ. იაკუშინმა — სსრ კავშირის ნაკრები, 1967-1968 წლებში. გავიხსენოთ თუნდაც ამ გუნდის ბრწყინვალე გამარჯვება (3-0) უნგრეთის ნაკრებთან ლუჟნიკში 1968 წლის 11 მაისს ევროპის ჩემპიონატის საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრის დროს. ეს იყო საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი მთელი მისი არსებობის მანძილზე. თამაშის შემდეგ ჩვენ შევხვდით გუნდის კაპიტანს მურთაზ ხურცილავას, რომელიც ეს იყო გასახდელიდან გამოვიდა. მურთაზმა იმ დღეს ლამაზი ბურთი გაიტანა და საერთოდ „ჩინებული“ თამაში აჩვენა. ცხადია, მივულოცეთ წარმატება. „მე რას მილოცავ, იაკუშინს მიულოცე, ყველაფერი მიხეის „ბრალია“! — გაეცინა ქართველ ფეხბურთელს.

... სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მ. იაკუშინი სამგზის ავარჯიშებდა თბილისის „დინამოს“ — მთელი 7 სეზონი. (1950-1953, 1962-1964 და 1974-1975 წლებში), ჩვენი გუნდი მეტწილად მეორე ან მესამე პრიზიორი ხდებოდა. ისიც ფაქტია, რომ დინამოელები იმ 1964 წლის „ოქროს“ სეზონისათვის სწორედ მ. იაკუშინმა მოამზადა, ხოლო გავრილ კაჩალინმა ჩემპიონობამდე მიიყვანა ისინი. სხვათა შორის, ტაშკენტის იმ ღირსსახსოვარი პაექრობის მეორე დღეს, 19 ნოემბერს, მიხაილ იაკუშინს „ფახთაქორის“ სტადიონზე შევხვდი. იგი მატჩს არ ესწრებოდა და ახლა უზბეკეთში ჩამოვიდა, რადგან ფახთაქორელთა მწვრთნელი გახდა. გულითადად მომილოცა თბილისის „დინამოს“ ჩემპიონობა. როდესაც ვუთხარი, რომ ამ წარმატებაში მას ლომის წილი უდევს, დიდად ესიამოვნა, მაგრამ მაინც მოკრძალებით მითხრა: „ია ზდეს პრი ჩომ?!“ ოდესღაც ხომ უნდა ეზეიმა ქართულ ფეხბურთს ასეთი წარმატება!

ამ ამაგდარმა მწვრთნელმა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გარდაიცვალა 87 წელს მიტანებული (იგი მოსკოვში, ვაგანკოვის სასაფლაოზე დაკრძალეს, იქ სადაც ცნობილი მომღერალი და გიტარისტი ვლადიმერ ვისოცკი განისვენებს) საკმაოდ დიდი ღვაწლი დასდო საერთოდ ფეხბურთს, და კერძოდ ქართულ ფეხბურთს, თვალსაჩინო წარმატებები მოუტანა თბილისის „დინამოს“. ჩვენი ფეხბურთის მოყვარულნი, გულშემატკივრები, სპეციალისტები, მოთამაშეები — მუდამ მადლიერების გრძნობით მოიხსენიებენ ამ გამოჩენილ მწვრთნელს, ქართველთა უმთავრესი გუნდის ღირსეულ მთავარსარდალს.

ოთარ ნოზაძე

პროფესიული კრივის ამბები

„ეს მატჩი ძალიან საინტერესო იქნება“!

ასე მიაჩნია ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტს. ლაპარაკია ნახევარსაშუალო წონის (66,7კგ.) ორი ცნობილი მოკრივის შეხვედრაზე – 12 აპრილს ლას-ვეგასის „ცეზარ პალასში“, სადაც არაერთი შესანიშნავი მატჩი გამართულა, დანიშნულია პერნელ უაიტეკერისა და ოსკარ ლა ჰოიას ბრძოლა.

უაიტეკერი 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიური ჩემპიონია, ლა ჰოია – სეულის 1988 წლისა. მას შემდეგ, რაც პროფესიონალები გახდნენ, ერთმაც და მეორემაც დიდი სახელი მოიპოვა. კრივის მსოფლიო საბჭო, რომელიც აწყობს ამ შეხვედრას, თვლის, რომ მატჩი განსაკუთრებით მძაფრი უნდა გამოდგეს. ორივე მოკრივე ნამდვილი მებრძოლია და უკან არ იხევს.

ავადმყოფობა არასერიოზული აღმოჩნდა

ხმები მსოფლიოს ექსჩემპიონ რიდიკ ბოუს ავადმყოფობის შესახებ გაზვიადებული აღმოჩნდა, ანდა, ჯორჯ ფორმენს, რომელმაც ამის შესახებ გაუზიარა აზრი ჟურნალისტებს, რაღაცა მოეჩვენა.

საქმე ის არის, რომ 29 წლის მოკრივემ ამ დღეებში ნიუ-იორკში პრეს-კონფერენცია გამართა. აქ მან განაცხადა – ამიერიდან სამხედრო სამსახურში ირიცხება, აშშ-ს საზღვაო ქვეითი ჯარის რეზერვისტია, რაც დიდი ხანია, სურდა. სამი უახლოესი თვის მანძილზე იგი ერთ-ერთ ბაზაზე სამხრეთ კაროლინის შტატში სამხედრო-მომზადებას გაივლის. მომდევნო სამ წელს ყოველ თვეში ორ კვირას, სამხედრო სამსახურში იქნება, დანარჩენ დროს კი კრივში ივარჯიშებს და არაერთ ბრძოლასაც გამართავს.

როცა სასამართლოს გზას ისწავლი...

„ლელო“ იუწყებოდა, რა დღე დაადგა განთქმულ პოლონელ მოკრივე ანჯეი გოლოტას კაცის ცემისათვის. მას სამშობლოდან გაქცევა მოუხდა, და, ბოლოს, როგორც იქნა, ქვეყნის პრეზიდენტმა ალექსანდრ კვასნევსკიმ შეიწყალა, ამასთან, დაზარალებულისათვის დიდი თანხის გადაცემა მოუხდა.

იმასაც ვიუწყებოდით, რომ ორ, თითქმის მოგებულ ბრძოლაში გოლოტას წაგება ჩაეთვალა რიდიკ ბოუსთან წელქვევით დარტყმისათვის. ახლა, რახან სასამართლოს გზა ისწავლა (თუ ასწავლეს), გოლოტამ გადაწყვიტა სამაგიერო გადაუხადოს რიდიკ ბოუს გულშემატკივრებს, რომლებმაც კრივის დარბაზში დიდი აყალ-მაყალი მოაწყვეს, ურტყეს თვით გოლოტას, მის სეკუნდანტ სემ კოლონას, აგრეთვე 14 მაყურებელსა და პოლიციელს.

ახლა გოლოტამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში და ბოუსაგან 5 მილიონ დოლარს მოითხოვს.

„...სამ წუთს გონზე არ მოსულა“

სენსაციური დამარცხება განიცადა კუბის პირველობაზე ორგზის ოლიმპიურმა და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა მძიმეწონოსანმა ფელიქს სავონმა. დიახ, ეს ის სავონია, წილისყრამ ორჯერ რომ არგუნა მასთან შეხვედრა ვარიანელ გიორგი კანდელაკს, მათი ბოლო ბრძოლა ატლანტის ოლიმპიადაზე შედგა.

მეოთხე რაუნდის 24-ე წამზე (შეჯიბრება ახალი რეგლამენტით – ხუთი ორწუთიანი რაუნდით ჩატარდა) 3.000 მაყურებლის თვალწინ მეტოქის ხუან დელისის დარტყმის შედეგად სავონი იატაკზე გაიშხლართა და სამ წუთზე გონზე არ მოსულა... ხუანმა სახელოვან მოკრივეს ჯერ კიდევ 1986 წელს სძლია. სულ სავონმა 11 წლის განმავლობაში მეოთხე დამარცხება იწვნია. კუბის მოკრივეთა ნაკრების მთავარი ექიმის რაულ ფუიაკის თქმით, სავონის მდგომარეობა ეჭვს არ იწვევს. ბრძოლის შემდეგ მოკრივემ კარგად გამოიძინა და თანდათან გონზე მოვიდა.

ვეფხვის ყოლასაც უკრძალავენ და ლომისასაც

მაიკ ტაისონს მხოლოდ კრივის პრობლემები კი არ აღელვებს. მას ბავშვობიდანვე უყვარს მტაცებელი ცხოველები და რახან მათი მოვლა, მისი გაგებით, არ უჭირს, სურს სახლში ჰყავდეს.

შარშან ოჰაიოს შტატის ქ. საუტინგტონის ხელისუფლებმა განთქმულ მოკრივეს სასტიკად აუკრძალეს თავის დიდებულ ვილაში ჰყოლოდა პატარა ლომის ლეკვი და ორი ვეფხვის ბოკვერი. ხელისუფლებამ გაითვალისწინა ტაისონის მეზობლების თხოვნა, რომ მაიკს მთელი თავისი მამულისათვის ორმეტრნახევრიანი სიმაღლის ზღუდე შემოევლო.

წელს ეს ისტორია გაგრძელდა. ტაისონი ლას-ვეგასში ცხოვრობს, სადაც შინ ჰყავს პატარა თეთრი ბენგალური ვეფხვი. აქ ისევე, როგორც საუტინგტონში მოკრივეს კვლავ აუჯანყდნენ მეზობლები. „ნეტავი, სახლში კატა მაინც ჰყოლოდა“. მეზობლებმა ხელისუფლებს სთხოვეს ვეფხვი ბინიდან გაეყვანათ, რადგან, ცხადია, მისი ძალიან ეშინიათ. გარდა ამისა, ისინი თვლიან, რომ ვეფხვის ასეთ მდგომარეობაში ყოფნა, უბრალოდ არაჰუმანურია. ეს თხოვნა დაკმაყოფილდა. ტაისონმა ჯერ აპელაცია შეიტანა, მაგრამ შემდეგ საქმეს მსვლელობა არ მისცა, რადგან იმედი აქვს, რომ მეზობლებს როგორმე ისედაც დაიყოლიებს.

* * *

24 წლის კორეელმა — ჩოი იუნ სუმ დაიცვა მსოფლიოში უძლიერესის ტიტული 59 კგ. წონაში WBA-ს ვერსიით, როცა ქულებით სძლია მონღოლ პრეტენდენტ ლავკა შიმას.

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან

სამთო-სათხილამურო სპორტი

სესტრიერი (იტალია). ქალთა სლალომის პირველ ცდაში გაიმარჯვა შვეიცარიელმა კარინ როტენმა — 52,62. მეორე იყო იტალიელი დებორა კომპანიელი — 52,67.

ცურვა

იმპერია (იტალია). მსოფლიო თასის ეტაპი. ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა რუსმა დენის პანკრატოვმა ბატერფლაით 100 მეტრზე ცურვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა – 51,93. ასევე წარმატებით იასპარეზეს სხვა რუსმა მოცურავეებმაც: სტანისლავ ლოპუხოვი პირველი იყო. ბრასით 100-მეტრიან დისტანციაზე, ხოლო ნინა ჟვანევსკაია – ამავე დისტანციაზე, ოღონდ გულაღმა ცურვაში. ჩინელმა ვაჟმა მოცურავემ ვუ ვანმა გაიმარჯვა გულაღმა 200-მეტრიან დისტანციაზე.

ჟურნალისტთა რჩეულნი

ევროპის სპორტული პრესის გამოკითხვის შედეგად გასული წლის რჩეული სპორტსმენები გამოვლინდნენ. ვაჟებშიც და ქალებშიც საუკეთესოებად რუსები აღიარეს – ატლანტის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონები ალექსანდრ პოპოვი და სვეტლანა მასტერკოვა.

რა ხდება ქვეყანაზე

ჩოგბურთი სიყვარულს ყოველთვის ვერ ეწყობა

ორი წელია, რაც ჩოგბურთის ვარსკვლავსა და კინოვარსკვლავს ანდრე აგასისა და ბრუკ შილდსს, რომანი აქვთ გაჩაღებული. ამ ხნის განმავლობაში რა არ გადახდათ თავზე: ჩხუბი, შერიგება, განშორება, ულტიმატუმების წაყენება, კვლავ შეყრა... ამ ნერვების წყვეტამ სერიოზულად შეაფერხა აგასის სპორტული კარიერა. იგი სწრაფად „ჩამოსრიალდა“ საჩოგბურთო ოლიმპიდან და იძულებულიც კი გახდა მცირე „ტაიმ-აუტი“ აეღო — პირად გარემოებათა გამო. ამას წინათ, „ტკბილმა წყვილმა“ თითქოსდა მოილაპარაკა დაქორწინების თაობაზე, მაგრამ შილდსმა შეყვარებულს ერთი პირობის შესრულება მოსთხოვა ქორწილის შემდეგ დედაჩემთან ერთად უნდა ვიცხოვროთო. არადა, სასიძო დასანახადაც ვერ იტანს სასიდედროს.

ანდრე აგასი

ორწლიანი სიყვარული... საინტერესოა, ამ პერიოდში ჩოგბურთი უფრო დაზარალდა უცნაური რომანის წყალობით თუ კინო-ეკრანი?..

ოცნება ოპერაციის შემდეგ

სირიელი ფეხბურთელი, „სპეციალობით“ თავდამსხმელი ანას მაქლუფი სამარის „კრილია სოვეტოვს“ „მიეყიდა“ და გახდა კიდეც იქაური გულშემატკივრების საყვარელი მოთამაშე. სამშობლოში, სირიაში შვებულების დროს იგი ავტოავარიაში მოხვდა: სრული სისწრაფით მიმქროლი „ოპელის“ წინა ბორბალს საბურავი გაუსკდა და ავტომობილი გზისპირა არხში ჩავარდა. საჭესთან მჯდომი ანასი ძლიერი დაჟეჟილობებით გადარჩა და საავადმყოფოში აღარ მისულა, რადგან რუსეთში უნდა დაბრუნებულიყო.

სამარაში სირიელმა ლეგიონერმა ვერ შეძლო ვარჯიშს შედგომოდა, რადგან მუხლის სახსარში მწვავე ტკივილი დაეწყო. ერთ-ერთ ადგილობრივ კლინიკურ საავადმყოფოში მას ოპერაცია გაუკეთეს.

ახლა ანასს აღდგენითი პერიოდი უდგას, იგი იხტიბარს არ იტეხს და ოცნებობს განკურნებული ფეხით ადრინდელზე მეტი გოლი გაიტანოს.

ოკეანეც „გადაცურა“

ბელორუსიიდან უეცრად გაქრა ბარსელონას ოლიმპიადის ჩემპიონი, მოცურავე ელენა რუდკოვსკაია.

ამას წინათ, დიდი სპორტიდან წასვლის აღსანიშნავად, მას სანაქებო გაცილება მოუწყვეს. ოლიმპიური ჩემპიონი ბელორუსიის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში აპირებდა შესვლას, მაგრამ ამის ნაცვლად შორეულ ეკვადორში „ჩარიცხულა“ ყოფილ მწვრთნელთან ერთად — საბავშვო მწვრთნელობისათვის მოუკიდია ხელი.

ბელორუსი სპეციალისტები, რომლებსაც ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს, თანამედროვე კოტეჯში ცხოვრობენ, ყველა აუცილებელი პირობით სარგებლობენ, გვარიან ხელფასებს იღებენ და... ათსაათიან სამუშაო დღეს ალამებენ...

ეს ჭირვეული მამა-შვილი

რასაკვირველია, კამსკებზე იქნება ლაპარაკი, მამა რუსტამსა და შვილ გატაზე. მათი, გამორჩეულად კი რუსტამის შეუწყნარებელი ხასიათი და გაუთავებელი ჭირვეულობა, არცთუ იშვიათად სკანდალურ ყოფაქცევამდე მისული, გახდა იმის მიზეზი, რომ ბევრი ტურნირის ორგანიზატორები გატას აღარ იწვევდნენ. უკანასკნელი ნათელი მაგალითი — უგატო ლას-პალმასის სუპერტურნირი, სადაც მამა-კამსკიმ ყველას მოუშალა ნერვები პრეტენდენტთა ფინალური მატჩის დროს მის ვაჟსა და ვიში ანანდს შორის (შეგახსენებთ ასპარეზობა ჩატარდა პროფესიულ მოჭადრაკეთა ასოციაციის ეგიდით. რედ.).

კამსკების განცხადება — მივდივართო, გაკვირვებას სულაც არ იწვევს. მით უფრო, რომ მთელი შარშანდელი წელი ამას გაიძახოდნენ.

ჭადრაკმა გატას ბლომად ფული აშოვნინა. სისულელე იქნება სოლიდურ შემოსავალზე უარის თქმა. ექიმის ან

გატა კამსკი

ქიმიკოსის პროფესიას რომ დაეუფლოს, გატას ხომ მრავალი წლის ბეჯითი სწავლა დასჭირდება? ხომ არ დადგა დრო, მოზრდილმა 22 წლის ჭაბუკმა მამამისის დაკრულზე აღარ იცეკვოს?

ნიუ-იორკში აშშ-ის საჭადრაკო ფედერაციის შტაბსადგომიდან ასეთი განცხადება გაუკეთებიათ: „ინფორმაცია კამსკების წასვლის თაობაზე ჩვენთვის არც ისე მოულოდნელი ყოფილა. ჩვენ არ ვაპირებთ კარპოვისა და კასპაროვის მისამართით გამოთქმული მათი ბრალდებების კომენტირებას, ამის გაკეთება კამსკებს უფრო შეეფერებათ. ფედერაცია დიდად ნანობს, რომ აშშ-ის უძლიერესმა მოჭადრაკემ სპორტი დატოვა. ვიმედოვნებთ, რომ ეს საბოლოო გადაწყვეტილება არ არის და გატა კამსკი არ გაიზიარებს რობერტ ფიშერის ბედს, რომელიც ორი ათეული წლის წინათ საკუთარი ნებით გაეცალა დიდ ჭადრაკს“.

მოამზადა

თამაზ ილმელა

ლინარესის ბრადიციული...

ლინარესში (ესპანეთი) დაიწყო დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი 12 დიდოსტატის მონაწილეობით. ასპარეზობაში გამოდიან მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, ვლადიმირ კრამნიკი, ალექსეი დრეევი (სამივე – რუსეთი), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), ბორის გელფანდი (ბელორუსია), ალექსეი შიროვი (ესპანეთი), მაიკლ ადამსი (ინგლისი), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), იუდით პოლგარი (უნგრეთი), იერუნ პიკეტი (ჰოლანდია) და პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია და ჰერცოგოვინა).

12 თებერვალს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში

ერთმანეთს ხვდებიან ინგლისისა და იტალიის ნაკრები გუნდები. სავარაუდოდ, ეს მატჩი თბილისური დროით ღამის 12 საათზე დაიწყება.

ორივე გუნდი გაცხოველებით ემზადება. ინგლისელები ისაკლისებენ ჰინჩკლიფს, ნევილს, პლატს, შერინგემს. კითხვის ნიშნის ქვეშაა პოლ გასკოინის მონაწილეობაც. ვერც იტალიელები გადაურჩნენ ტრავმებს. ასე, „უემბლიზე“ ვერ ვიხილავთ მილანის ნახევარმცველს სტეფანო ერანიოს. მას შემდეგ, რაც იტალიელებმა ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში ჩრდილოირლანდიელები დაამარცხეს, გუნდში ორი ცვლილებაა: „სკუადრა ადურას“ დაემატნენ მცველი კრისტიან პანუჩი და თავდამსხმელი ენრიკო კიეზა.

საჭადრაკო კროსვორდი



თარაზულად: 5. საჭადრაკო სახლი, სატელევიზიო საჭადრაკო ჟურნალის სახელი, 6. ქართველი დიდოსტატი ქალი, 9. პარტიის ბოლო სტადია, 11. ქართველი დიდოსტატი, საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებული, 12. მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირის მონაწილე ქალი, 15. ხელოვნურად მოცემული მდგომარეობა, რომელშიც თეთრებმა უნდა იპოვონ ერთადერთი სწორი გზა მოსაგებად ან ყაიმის მისაღწევად... 16. განსაკუთრებული ნიჭი, 20. ინდოელი დიდოსტატი ვაჟი, 21. ქართულ ჭადრაკში ყველაზე გავრცობილი გვარი, 24. ამერიკელი მოჭადრაკე – დიდოსტატი, 25. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 30. საჭადრაკო ფიგურა, 31. ფიდეს პრეზიდენტი.

შვეულად: 1. „ჯარისკაცი“ საჭადრაკო დაფაზე. 2. ცნობილი ამერიკელი მოჭადრაკე, 3. სცენის გასანათებელი მოწყობილობა, 4. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ვაჟი, 7. ერთ-ერთი საჭადრაკო სისტემის ავტორი, 8. ქართველი დიდოსტატი ვაჟი, 10. ინგლისელი დიდოსტატი ვაჟი, 13. პირველი მსოფლიოს ჩემპიონი ვაჟებში, 14. აშშ-ში წასული ოდესელი მოჭადრაკე, 17. ჰოლანდიელი დიდოსტატი, 18. ქართველ მოჭადრაკეთა ცნობილი მწვრთნელი, 19. დამარცხება ანუ... 22. მსოფლიო ჩემპიონი ვაჟი, 23. წარმოშობით ჩეხი, ცნობილი მოჭადრაკე და ჟურნალისტი, 26. შედეგი ჭადრაკში, 27. რიგელი დიდოსტატი, 28. თავდასხმის გამოცხადება, 29. მოგების აღმნიშვნელი სათვალავი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. „ოსერი“, 8. პიტერსი, 9. იტალიური კლუბი, 10. კაუზო, 11. იუსუფი, 12. ინგლისი, 14. ვინტერი, 16. დანია, 19. პინტუ, 24. იულიანო, 25 პინილია, 26. „მილანი“, 27. როზატო, 28. აფონინი, 29. „ავენირი“, 30. ზინიო.

შვეულად: 1. ყიფიანი, 2. ესკურსა, 4. სობოტკა, 5. „რესინგი“, 6. „ბორუსია“, 7. მიულერი, 13. ლატალი, 15. „ტიროლი“, 17. კუსიუფო, 18. ანოლინი, 20. ისაიაში, 21. ტიურამი, 22. მინავი, 23. დიუგარი.

საჭადრაკო ამოცანა

ა. იაროსლავცევი
(სპეციალური პრიზი, 1987 წ.)



შამათი 5 სვლაში

„ლელოს“ მე-9 ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მფg6! c5
2. მფf5 c4
3. მფe4 c3
4. მფd3 c2
5. ლ:c2x

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ საგაზეთო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშე